

უკიდურობა

№ 2

ქუთაისი
მხატვრული მწერლობის კავშირი
1922

აღსარება ქუთაისს.

მე შენს კალთებზე სიმშვიდეს ვეძებ.
ო, ვერ გავუძელ მღელვარე თფილისს.
ახლა თოვლივით ვილევო მზეზე,
და მომდევს ქარი შორი აპრილის.

ყრუ მღუმარებას ყოველმხრივ ისვრის
შენი მიდამო ამწვანებული.
მოვედი შენთან თფილისის ნისლით
და ღამეებით გაწვალებული.

ო, ლოცვით სული აქაც აივსო,
ისევ ავყევი დამღუპველ ვნებას.
და შენს სივრცეზე მე, ქუთაისო,
ველი სხვანაირ დღის გათენებას.

ავალ კიბეზე და მე მიემართავ
ბაგრატიის ტაძრის მაღალ ნანგრევებს:
რომ ჩემი სული ფერფლია მართლა,
რომ გული სევდას აქაც აგროვებს.

ღამდება ასე, დაიწყო წვიმაც,
და მიდის ფიქრი, როგორც ღრუბელი.
უამინდობამ მე დამამძიმა,
და ისევ მელის გზა დამღუპველი.

ახლაც სიმშვიდე არ მეკარება,
მე აქაც ბევრი ღამე ვათიე.
ო, ქუთაისო, ეს მწუხარება,
და ეს ტირილი შენ მაპატიე!...

ტერენტი გრანელი.

დღე ამაღლება,
ქუთაისი.

უ ა ნ ა შ ი

(ესკიზი).

— სიცხეა, შვილო, სიცხე! ველორ შევძელი!
ჩემმა სუსტმა აგებულობამ ველორ გაუძლო, ვერ აიტანა ეს მძიმე ჰაერი...
აგერ, ვერ ხედავ, როგორ გადახმა მინდვრები?!

ძლივს დალოდავს მშვიერი საქონელი!

საქმელი მას არ გააჩნია და სასმელი.

ბალახი გახმა, წყალი, ნამეტანი სიცხეებისა გამო, დაშრა—
და რაღა დაგვრჩენია?!

სიკვდილი, მხოლოდ-ღა სიკვდილი, შვილო!..

— ეეე! მამა, შენ მშიშარა ხარ! ასე ცოტა ხნის გვალვამ როგორ
უნდა შეგაშინოს?!

მე რომ შემეშინდეს, კიდევ მეპატიება, მაგრამ შენ!

შენ კი, მამა-ჩემო, ამგვარი სილაჩრე არ გეპატიება!

რას მიქვია სიკვდილი, რას მიქვია უიმედობა?!

ამგვარი გვალვები, ამგვარი სიცხეები უწინაც ხშირად უნახავს ჩვენს
ტანჯულ ქვეყანას, მაგრამ, მაღლობა უფალს, დღემდის მოგვიწევია, ცო-
ცხლები ვართ, არ დაეხოცილვართ!..

— კი, შვილო! მჯერა შენი სიტყვები! იმედი ღმერთმა ნუ მოგიშალოს!
შენ ახალგაზნდა ხარ! ყველაფერს მოესწრები, ყველაფერს აიტან!
მაგრამ მე?

მე კი სულ ცოტა მეყოფა!

სუსტად ვარ... ჰაერი აღარ მყოფნის!..

სიცხე კი დღითი-დღე მატულობს...

მზის ცხოველმა სხივებმა გადაწვა, გადაბუგა არე-მარე...

აუტანელმა სიცხემ ჰაერი დაამძიმა!..

არსაიდან ცელქი მოთამაშე სიო!...

არსაიდან სულის დამამშვიდებელი კუდრაჭა ნიავი, შხაპუნა წვიმა, ღ

მე კი—მეტი აღარ შემიძლია.

მართალია, ჩემს ხანგრძლივ სიცოცხლეში ბევრი გვალვა მინახავს...

ბევრჯერ დამშეულვართ...

შავი ჭირი და ჟამი ჟღერდა ხალხს...

ყანებში, აუტანელი სიციხეებისა გამო, ვეღარ ვმუშაობდით, მაგრამ ამგვარი სიციხეები ჩემს სიცოცხლეში ჩვენში არც მინახავს და არც გამიგონია!..

კი, მართალია, იყო სიციხეები, მაგრამ მხოლოდ შუადღემდის ცხელოდა. ნაშუადღევს კი, განსაკუთრებით საღამოს ჟამს, ამოვარდებოდა ცელქი ნიაფი და სივრილით გაჟღენთილ ალერსის კოცნით შემოირბენდა მთელ არე-მარეს:

ვის ოფლის ცრემლებს ტანზე უშრობდა...
ვის მოღუნებულ სულის სიმებს სასიცოცხლოდ აუთამაშებდა—და ვის კიდევ მოქანცულ გრძნობებს სამოქმედოთ აუჭგერებდა...

დიახ, მანსოვს, ეს წინეთაც ყოფილა, მაგრამ დღეს ბუნებაც გამოიცვალა და კაციც!...

ნიაფი საღამოობით აღარ გვაგრილებს!..

ზღვა თავის დროზე წვიმებს აღარ გვიზავენის, და მზის ცხოველი სხივები კი მთელი თავისი ძალ-ღონით მოგვდგენ რბ დაუზოგველად გვწვავენ—გვანადგურებენ...

— მოდი, მოდი, მამა! ამომიდექ გვერდით, თოხს ხელი მოჭკიდე! ამდენი დასვენებაც გეყოფა!

ნუ გეშინია, მამა! გული გაიმაგრე!

წელს წვიმებიც თავის დროზე გვექნება და მოსავალიც გაგვახარებს! აგერ! მზემ გადიხარა კიდევ და ჰაერში დიდი მოძრაობაა!

მალე, სადაც არის, ნიაფიც დაიძვრის და შენს მოხუცებულ გულს სიამის ნექტარით მოასხურებს!..

მაშ, რას დაღერემილხარ?! ადექ, რაღას უყურებ?!
არ გჯერა, განა, ჩემი სიტყვები?!

— არა, შევილო, არ მჯერა!.. რადგან ჰაერის მოძრაობის მიზეზი ნიაფი არ არის!..

ეს ქარია, და არა ნიაფი.

ქარი აღმოსავლეთიდან მოდის, ნიაფი კი დასავლეთიდან.

ქარი შშრალი, ცხელი და ტლანქია,

ნიაფი კი გრილი, სუბუქი და ფრიად სასიამოვნო...

ნიაფი დღეს, ეტყობა, სულაც არ დაიძვრის!..

— ნუ დაიძვრის, მამა! მერე?!.. განა ჩვენი იმედი, ჩვენი ძალ-ღონე, ვაჟკაცობა და გმირობა მარტო ნიაფზეა დამოკიდებული?!

რად გვინდა, მამა, ნიაფი?!

რას დაგვაკლებს უწვიმობა?!

ჩვენ, მუშებს, განა არ შეგვიძლია შეერთებული ძალებით არხების გაქრა, წყლების გადმოყვანა და ყანების მორწყვა-გაგრილება?!..

მაშ, რატომ გეშინია ასე გვალვების?

განა შიმშილსაც ასე შეერთებული ძალებით არ შეგებრძობლებით?!

შიმშილი წინეთ სულსხვა იყო, მამა, და დღეს კი სულ სხვა არის...

დღეს მუშის დაჯირკული ხელის შეერთებული და შეგნებული ძალა ყველაფერს ამსხვრევს, ყველაფერს სპობს, ანადგურებს!...

მაშ, მამა, მოდი! ნუ გეშინია!

ჩვენ უკვე მზადა ვართ... მზად ვართ ყველას და ყველაფერს გაუმკლავდეთ! ყველას ვებრძობოთ, ოღონდ კი ხალხს სიტკბოება და მყუდრო ცხოვრება მოუპოვოთ. ჩვენი სამშობლო დავამშვიდოთ და ავაყვავოთ!!

— ოღონდაც, შვილო, ოღონდაც!

წაიბუტბუტა თავისთვის მოხუცებულმა—და თოხით ხელში გვერდში ამოუდგა შვილს.

1922 წ.

თეოფ. ხუსკივაძე.

ადამიანი!

რას მერჩობდი? რათ მომწამლე?
რათ დამასხი შხამი წვეთად?
რათ მიქციე ნათელი დღე
ბნელ კუნაპეტ—ჯოჯობეთად?!

რა შეგნანდა, რა შეგშურდა,
რათ გამიქრე სიყვარული?
რათ მომიკალ უმისოთაც
წყლულით საესე ჩემი გული?..

მე რაზედაც ვლოცულობდი
და ვიწოდი მისთვის ბაზმათ,
ცრემლით ვზრდიდი,—ვაკურებდი
მის გარემოს აიაზმათ;—

ეს წალკოტი, მე რო მსურდა
საიოთა და სავარდოთ,—
რათ მიქციე ავაზაკთა
ავზნეობის სანავარდოთ?!

მე ხომ კიდევ ვიცოცხლებდი?
მე ხომ კიდევ ლექსს შევთხზავდი?
მე ხომ კიდევ ტკბილ იდეალს
იის გვირგვინს დავუწნავდი!..

მე ხომ კიდევ ვიმღერებდი,
მე კვლავ სიმებს გავაბამდი,—
ფაფარაყრილ მტრობას და შურს
ტკბილი სიტყვით დავაბამდი!..

მე ხომ კიდევ... ეს რა მიყავ,
რომ გამინმე ენა ყელში,
და, მეტყველი, უტყვათ დავალ
ჩემსავ მშობელ მთა და ველში!..

სიყვარულის მზრდელი ვიყავ
და შევეტრფოდი ნათელს მზიანს;
დღეს კი ზიზლით, წყევით ვუცქერ...
მაგრამ—მხოლოდ ადამიანს!..

დ. თაშაშვილი.

კუთაისის მიღამო

(„გულის პოემ-“იდან).

....სადი ჭკუა ვერ ეგუა
 საუკუნეს ამ მეოცეს:—
 სისხლის ღვრებით, გოლგოთ-ჯვრებით
 შე ხალხებმა გამაოცეს.
 რაც წინ ველურთ არ უქნიათ,
 ზანათლებულთ ჩაიდინეს:
 სისხლით ღებეს მთა და ველი,
 სისხლი ზღვაში ჩაიდინეს...

ზაქრა სადღაც სინიღისი,
 ზაქრა ჭკუა და გონება...
 ღიღი, მცირე—ნაღველს ანთხევს,—
 სულმა იწყო დაღონება...
 შხამ-სამსალის ამ ჭაობში
 წემს გულს აღარ ეგულება—
 და მიილტვის იქით, საღაც
 სისპეტაკე ეგულება.

ზელათი და მოწამეთა,
 რიონი და წყალწითელა:—
 აი, სატრფო სანახები,
 შე რომ გული გამიმთელა!
 მიყვარს ამ ადგილებიდან
 ზორებიდან ვადაცქერა...
 მუჭვრეტ ზელათს: სანეტარო
 ამიტყდება გულის ძგერა...
 თვალ-წინ მიდვას მის სიმდიდრე,
 ღიდებული მის წარსული,—
 დავით აღმაშენებლის
 ძლევა, ხმალი გაბასრული!..
 მთის კალთებზე მზის სწივებში
 ზამოსკვივის მონასტერი...

სიყვარულით შემომცქერის,
 არა როგორც მონას (მ)ტერი...
 თვალს ვაყოლებ მის წარმტაცი
 არემარის სახეობას:
 ტყიან კალთებს, ქვიან წვეტებს,
 ძირს მდინარეს და ხეობას,—
 აქ-იქ მიმძრომ წვრილ ბილიკებს,
 წყალწითელას მიმორხევას,
 ჰლდიდან კლდეში, ტყიდან ტყეში
 მიმოკლაკენას, მიმოხვევას...

მოწამეთა, წყალწითელა...
 აჰა, სიმწრის მიწა-წყალი—
 ძართველი რომ სისხლსა ღვრიდა
 მთელ წარსულში, იგ საწყალი!..
 მართი—ტანჯვის სიმბოლოა,
 და მეორე—სისხლის დენის...
 ჰლდე და წყალი—წამებისა
 მოწმეები... ოხ, რამდენის!..
 არე-მარეს თითქო სახე
 მიუღია აქ წარსულის,
 მოსისხარ მტერთ შემოსევის—
 მონგოლურის თუ სპარსულის:—
 დასერილი, დაფლეთილი,
 დაგლეჯილი გულ-მკერდითა,
 მოფენილი, მოგებული
 მწვანე-ლურჯი ხავერდითა!..
 ძართველთ ერის ცხოვრებისა
 აქ სიმბოლო დაიძახა—
 მტარვალმა რომ ვერ აღხოცა,
 თუმც ეს მიზნათ დაისახა!..
 მის გულ-მკერდზე ნიშანია
 მტარვალთ ხელის, მძიმე წყლულის,
 მტერთა სისხლით განბანილის,
 მორივე მხრის სისხლით რწყულის...
 მაგრამ სიკვდილს აქ სიცოცხლე
 შეებრძოლა გაბედულათ....
 და სიცოცხლე გაიმარჯვებს:
 მოიქარგვის ხავერდულათ!...

ხილოვანი.

ი ვ ლ ი ა ნ ე.

ღია ჩიანელს.

სასახლე ანთებულია ათასფრად. ივლიანე წამოწოლილიყო საწოლზე და მოხუცი ბრძენის სიბრძნეს მოისმენდა. ივლიანეს ირგვლივ ცეცხლის ენები ლიპლიპობდა.

—მსურს განსპეტაკება ჩემი წარსულისა და აწმყოსი. მომეცით სული დაუშრეტელი. განაბნიეთ ბურუსში გახვეული თავი ჩემი. მიზეზი მსურს მიზანს დაუმორჩილო. მიეცით სულს განსვენება. მომგვარეთ შეურყეველი რწმენა ჩემი,—ბრძანა ივლიანემ და გადახედა დიდებულთა.

დაიწყო ცერემონია საიდუმლოებისა! ღმერთების კერპებს აღუთეს გუნდრუკი სამადლობელო.

—თუ აქ არის ვინმე ან ქრისტიანი, ან ეპიკურელი, განვედინ!—გაისმა ბრძანებითი კილო კერპთმსახურისა.

—ქრისტიანენო, განვედინ!—განმეორდა კვალად.

სიბნელეში მყოფმა ხორომ აღბეჭდა კვალად გალობით:—კარები, კარები! ქრისტიანენო, განვედინ! განვედინ, უღმერთოებო!

მაშინ მიუახლოვდა ვილაც პიროვნება ივლიანეს უკანით, მაგრად შეუხვია თვალები ცხვირსახოცით და ლაღადყო:—იარებოდე! აღარ შეუდრკე არცა წყალს, არცა ცეცხლს, არცა სულსა, არცა ხორცს, არც ცხოვრებასა და არცა სიკვდილს!

იგი გაიყვანეს ქვეყნად და გამოაცდევინეს ათასნაირი ცხოვრების საიდუმლოება და საშინელებანი. მას თან სდევდა მოხუცი ბრძენი, რომელიც ახალი რწმენის სიმბოლოდ—უარყოფითად იყო მოგლენილი.

კვალად მოვიდენ სასახლეში. მთავარმა მოგვმა მიშართა ივლიანეს:—განიცადე რა ყოველივე ცხოვრების სიავკარგენი, ყოყმანობ რა შენს წარსულ შეცდომაზე, ღმერთების სადიდებელად გეუბნები შენ: თუ გსურს იხილო ანგელოზი მთავარი, მადიდებელი სულის აღორძინებისა, მომნიჭებელი სულის განსვენებისა, სახელისა ჩემისათვის უარყავ ქრისტე, ვინაიდან იგია თანატოლი გლახაკთა და დაბეჩავებულთა, დამორგუნველი ყოვლის ძლიერების და განდიდებისა. შენ კი ხარ მეფე, იმპერატორი, მბრძანებელი ქვეყნისა... უარყავ იგი, სახელისა ჩემისათვის აღიდე ღმერთები და კერპები, მომპოვებელნი ძლიერებისა და ძალმომრეობისა.

ივლიანე ჩაფიქრდა. ხორომ გალობდა ღმერთების საგალობელს.

—ველი შენგან პასუხად „უარყყოფ“,—განუმეორა მოგვმა გადაჭრით.

—უარყყოფ—წარმოსთქვა ივლიანემ.

მთავარი მოგვის ნაცვლად მოეჩვენა ივლიანეს ანგელოზი, ბურუსში გახვეული, რომელსაც თავზე დაბრჭყვიანობდა ვარსკვლავი განთიადისა.

კვლად განუმეორა მოჩვენებამ ივლიანეს:—სახელისა ჩემისათვის, უარყავ ქრისტე!..

—უარყყოფ!—ხალისით მიუგო ივლიანემ.

მესამედაც განუმეორა მოჩვენებამ: უარყავ ქრისტე იგი სახელისა ჩემისათვისო.

და გადაჭრით მიუგო ივლიანემ:—უარყყოფ!

მაშინ მოჩვენებამ სიხარულით მიმართა ივლიანეს:—

—მოვედ ჩემთან!

—შენ ვინა ხარ?!

—მე ვარ ნათელის მატარებელი, მე ვარ ვარსკვლავი განთიადისა!

—რა მშვენიერი რამა ხარ!

—იყავ მსგავსი ჩემდა!

—რა კაეშნობა გამოსქვივის შენს თვალეში!..

—მე ვკაეშნობ ყველას გულისთვის. არ არის საჭირო არცა დაბადება, არცა სიკვდილი... მოვედით ჩემთან: მე ვარ აჩრდილი, მე ვარ სიმშვიდე, მე ვარ თავისუფლება!

—ხალხი რას გიწოდებს?

—ბოროტებას!

—შენ? ბოროტებას!?

—წინააღუდექ!

—ვის?

—მას, ვინცა თანატოლი იყო ჩემი. მას სურდა თვით ერთი ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ ორნი ვიყავით.

—გარდამქმენ თანაბრად შენდა.

—წინააღუდექ ჩემებრ! მეც შეგწევ ძალას.

მოჩვენება—ანგელოზი გაჰქრა.

ჟამთა ვითარებაში ომით თავდებოდა სიცოცხლე ივლიანესი. ომში დაჭრილი—იგი ებრძოდა სიცოცხლესა და სიკვდილს. შეფოთავდა იგი, ვით უარმყოფელი სათნოებისა.

მაგრამ მიღეული ხმით მაინც მიმართავდა თავის მოთაყვანეთ:—ისმინეთ, მეგობარნო!

მოახლოვდა ჟამი ჩემი! ხოლო, ხომ ხედავთ, ვმხიარულობ მაინც! დიახ! ჩემს სულს არ ეტყობა არც კაეშნობა და არც შიში, დრტვინვა. ჩემი სული მაინც გრძნობს განსვენებას. მიეცით სულს განსვენება! დიახ,

მე მოვიხადე ვალი ჩემსა და სხვების წინაშე, და ამისა გამო ვიგონებ რა ჩემს წარსულს, არა რა მაწუხებს და ვნუგეშობ მით.

ჭრილობა გაიხსნა. ანთებამ იმატა. ივლიანე უფოთავდა:

—არა! არ მინდა! გესმის, მაცდურო? გამწორდი, გამეცალე! აღარ მრწამხარ... სოკრათი მოკვდა, როგორც ღმერთი!.. რა, რა გინდა ჩემგან, გალილეველო?! ოჰ, სიყვარული შენი სიკვდილის უარესია... ასე რად, რად მიყურებ?! რად მიჩვენებ განგმირულს შენს ხელებსა და ფეხებს?!.. ოხ! სისხლი?.. სიბნელე?.. მსურს ვნახო მზე! ნუ ეფარები მას, მაჩვენე იგი!.. სიკვდილი უმზეოდ, სიცოცხლე სიბნელით!.. ოხ, რა გსურს, გალილეველო?!.. განა გითხრა:—შენ დამამარცხე, გალილეველო! დიახ, სიკვდილის წინ ვამბობ, იესო: შენ გაიმარჯვე, გალილეველო!..

დამარცხდა სიცოცხლე, გაიმარჯვა სიკვდილმა, გაიტანა თავისი ცხოვრებამ.

უარმყოფელ ივლიანეს უარეყო სიცოცხლე.

მოღალატე მოკვდა.

ლ. სორტელი.

ქალაქი ფანოჯანი.

დაზანტებული—ვით ბალდახინი,
ქალაქი მყუდრო,
სიჩუმით დამბლადაკრული...
ხავსიანი კედლები—
ელდანაცემ წმინდანების...
ზარების რეკა ჩუმი... უდარული...
მოწყენა... სპლინი.
მკვანე ყაყანი გომბეშოების.
წერვები სივდება ჭაობის სუნთქვით,
წერასტენია უეცარი.
თითქოს მოჩვენებაა წითელი სიკვდილის,—
თითქოს თქარუნით მოჰქრიან ცელებით აქ კენტავრები!
და ვატყობ:
იქნება ბრძოლა სასიკვდილო—
განწირული ლეოპარდების,—
დაიწრიტება მზე სისხლით!
დაბუგავს სივრცეს ძოწი მეწამული...
მოსკდება ვეზუვის ღვართქაფი!..

მიცვალებულთა სავანეც,
ჰოი, მკვდარო ქალაქო
ფილისტერების და კასტრატების!
მე მინდა სკალპელით
დაგიჭრა ძარღვები,
რომ შესწყდეს შენი მაჯის-ცემა!
და გასივებულ, კეთროვან ტანზე
მიწა მიგაყარო
(ამიერიდან რომ არ იქნეს
ხსენება შენი უღირსი!).
ჰაა, მე ვხედავ:
შორი პლანეტებიდან მოჰქრიან პროპელერები.
პოეზიის ახალი არწივები—

სწრაფი ექსპრესები ბელტავენ სივრცეს.
ლფუსტრის ციება დააზრობს შენს სხეულს—ლეშს აშმორებულსა
იქნება აღდგომა ბზის რტოებით
აყვავებულ სულის,
და მინდა იმ დღისთვის—
(გთხოვთ ნუ დაეჭვდებით ჩემს გულწრფელობაში!)
პოეტს სისხლნაკლულს—
ვადილო ეს წუთი, აღსავსე
აღმასივით
მკრელი განცდებით,
უჩვევი ორგით,
და ლექსით მიგმართო ოცნების სამთავროს
ახალ სამლოცველოს—
ქალაქს ფენომენს!

ვახო გორგაძე.

ჰარმონიები და დისჰარმონიები.

I

აღელვებული.

მას ქმარი მოუყვდა.

ის მწარეთ ტირის და არ შორდება იმ ოთახს, სადაც საყვარელი ადამიანი ასვენია.

ქალი მიცვალებულის სახეს ხშირათ მიაჩერდება და ფიქრობს:

— რა წყნარი და ნაზი სახის გამომეტყველება აქვს!..

სიცოცხლეში მშვიდი და ღვთიური იყო და საფლავშიც სათნოება მიყვება...

ქმარს ის უყვარდა.

ქვრივს მაინც სურს განსვენებულის უკანასკნელი სურვილი გაიგოს.

ის თავის მაზლს მიუახლოვდება და ეკითხება:

— სად არის განსვენებულის ანდერძი?

— აი აქა მაქვს—და უბეზე ხელს მოისვამს.

— მანახეთ!..

— თანახმათ განსვენებულის სურვილისა, ის დასაფლავების შემდეგ უნდა გამოვაქვეყნოთ...

— ეს რაღაც უნდობლობაა... მე მსურს მისი შინაარსი ვიცოდე...

— აი, მიირთვით...

ქვრივი ქალაღდს გამოართმევს, კითხულობს—და ყოველი წინადადების შემდეგ დაუმატებს: საწყალი!..

მაგრამ უეცრათ ქვრივი შეჩერდება.

— როგორ?! ეს ხომ საძაგლობაა!..

„ჩემს ქვრივს თვისი მზითვეი უკლებლივ დაუბრუნეთ და შინ გაუშვიეთ. ქონება—როგორც მოძრავი, ეგრეთვე უძრავი—ჩემს შვილს რჩება.“— წაიკითხავს ქვრივი ანდერძის ამ ადგილს და, გამწარებული, ქალაღდს ხელიდან გაავდებს.

მიუვარდება მაზლს:

— ეს ხომ ჩემი შეურაცხყოფაა! ნუთუ ასეთი იყო განსვენებულის სურვილი?!...

— როგორც ხედავთ.



ქვრივი აენტება, შევარდება ოთახში, სადაც მიცვალებული ასვენაი და მკვდარს სუდარას გადახდის.

— ამ სახის პატრონი კაცი აბა რა სიკეთეს ჩაიდენდა!.. შეხედეთ, რა აღქაჯურათ გამოიყურება!.. მეფერებოდა, მელერსებოდა... თავს იკატუნებდა თურმე, გული კი მურივით შავი ქონია... მაგრამ შენ ხომ სიკვდილის შემდეგ გადამიხადე, მე კი სიცოცხლეში გაქამე სირცხვილი... ამისათვის მიმტერე განა?! ჯერ მაცალე... შენ ოლონდ მალე წაშავდი სამარეში — და მერე ყველა დაინახავს, თუ რამდენ ზანს გიგლოვ!..

გაბრაზებული ხმით მიაძახა ქვრივმა და უსიტყვო მიცვალებულს ზურგი შეაქცია.

II

ს ა მ ი ფ ე რ ი ...

ოდეს შენ მიმზერ, შავთვალ-წარბა ტურფა ასულო, იცი რასა ვგრძნობ, რა მენატრება?

— თითქოს მზის სითბო სისხლსა მიღლეებს და მენატრება სადმე შორს ვიყოთ, აღმოსავლეთში, ფერადათ მორთულ კოხტა ოთახში—ნონხე დამჯდარი, წითლათ შემკული, ნარგილიო ხელში... მეხვეწებოდე ზღაპრის მოყოლას—და მე, დამთვრალი შენი თვალების გიჟური ცეცხლით, ნელათ გითხრობდე აღმოსავლეთის მდიდარ ოცნების შენაკონავსა ლამაზ თქმულებებს!

* *

ოდეს შენ მიმზერ, ცისფერ თვალა, თეთრო ასულო, იცი რასა ვგრძნობ, რა მენატრება?

— სულით დამტკბარსა, ნაზი ალერსი გულს მოუნდება:—მსურს ერთად ვიყოთ ლამაზსა ტყეში. მწვანე გვირგვინი შენ თავზე გედვას ღ მალლობიდან ველზე ცხვრის ფარას ვუმზერდეთ წყნარათ...

მწყემსის სამოსით, მწვანე ბალახზე ჩვენ გაწოლილი, ვისმენდეთ პანის სადიდებელათ ბუნების მიერ შეთხზულ ქებასა!...

* *

ოდეს შენ მიმზერ, თაფლისთვალა უცხო ასულო, იცი რასა ვგრძნობ, რა მენატრება?

— რაღაც სურვილს ვგრძნობ, ვნების ამშლელს, და მსურს შორს სადმე, ცხელ-ქვეყანაში, ზღვის თბილ ნაპირას, მზის სხივების ქვეშ ფერადი სილით კოშკებს ვაგებდეთ—და ამ ჩვენს ღვთიურს უდარდებლობას ნელი ტალღები ნაზი შრიალით მარადისობის ჰაინს უგალობდეს!...

III

ო რ ი გ ე დ ი .

როდესაც იტალიის ქალაქ გენუაში ჩამოვედი, აგვისტოს თვე იყო — დაიწყო ერთმა ჩემმა მეგობარმა. — მზეს ჰაერი ისე გაეთბო, რომ სასტუმროში დიდხანს ვერ გავჩერდი.

დავათვალე რე დიუკის ცნობილი პალაცო, წმ. ლავრენტის გრანდი-ოზული ტაძარი და შემდეგ ბოტანიკური ბაღისაკენ ვავემართე.

გენუას ფირუზის-ფერი ზღვა შეილდვიით მიწოლოდა ღ თვისი თბილი ტალღებით ქალაქს თითქოს ნანას ეუბნებოდა. ბაღი ზღვას მედიდურათ დაყურებდა.

ზღვაზე რამდენიმე სამხედრო გემი მიმორონს აკეთებდა. თვალის წარმტაცი ზღვა მშვენიერებით მოსავდა მწვანე ბალნარში ჩაფლულ ქალაქს.

ზღვის მსუბუქი ჰაერი, ფიჭვნარის სურნელება, მაღლობიდან ზღვის ცქერით განცდილი სიტკბოება — ძარღვებს ამშვიდებდა, სულს ამალღებდა, ღ ამიტომ დიდხანს, სულ დიდხანს გამიტაცა და დამიმონა ამ სანახაობამ.

მაგრამ როდესაც მზე ვადიხარა ღ ზღვის ცქრილა ტალღებში ტანის დაბანა მოისურვა, მე წავედი გენუის სასაფლაოზე. მგოსნის უსაზღვრო ფანტაზიამაც რო მოინდომოს აღწერა იმ სიდიადის, სიმშვენიერის, სილამაზის და სიმდიდრე-ფუფუნების, რასაც გენუის სასაფლაო წარმოადგენს, მერწმუნეთ, რომ ვერ შეძლებს!.. სანტო-კამპო სიამაყვა ყოველი გენუელის!

ანგელოზები, ნიმფები, სიმბოლიური ნიშნები, ალევორიები და სახარებიდან ამოღებული სიუჟეტები, ნიჭიერ მოქანდაკეთაგან შექმნილი სხვადასხვა მარმარილოდან, თვალს იტაცებს, გონებას ხიბლავს და აღტაცებას ათასებს!..

მუსიკის ხმით დამტკბარივით დავდიოდი, რომ უეცრათ ხეივანში ერთი ქანდაკება დავინახე:

ყვავილებით მორთულ ორ საფლავეზე ვიღაც ხელოვანს დაედგა ორი მაღალი გედის მარმარილოს ქანდაკება. ორივე ფრინველს ყელი ერთმანეთზე გადაეჭდოთ და თითქოს ეძინათ...

— ნეტავი ვისია ეს საფლავეები? — გავიფიქრე.

ამ დროს ერთი მოხუცი მომიახლოვდა.

— უკაცრავათ, თქვენ ალბათ გსურთ ამ საფლავეების ამბავი გაიგოთ — მითხრა უცნობმა ფრანგულათ.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — დავეკითხე მას.

— მე ამ რაიონის მებაღე ვახლავართ. ამ ადგილას უცხოელები ხშირათ მოდიან. აი, თქვენ აქ დაისვენეთ და მე გაიმბობთ...

— ეს დიდი ხნის ამბავია, — დაიწყო მან, — მაშინ გენუას ლიგურიას ეძახდენ. ამ ქვეყნის მრისხანე მფლობელს ყავდა ერთი ასული, სახელათ

ლენა. ლენას გათხოვებით ლიგურიის ბატონს ფლორენციის დოჟის დანახ
ლოება სურდა და ამისათვის მას საუცხოოთ ზრდიდა.

ჰარმონიას უსურდა ლენას რითმიული სიარულის სიმსუბუქე, სოსანი
იზნიდებოდა, როდესაც ლენა თვისი ყელ-მკერდით მას დაყნოსავდა, და
მისი ხმის სიტკბოება მთვარის მგოსანსაც კი ჩრდილავდა.

მაგრამ ბედმა დიდებულ მფლობელს მწუხარება არგუნა. ლენას შეუ-
ყვარდა სასახლის მუსიკოსი გვიღო.

სიყვარული ყველგან უცნაურია, მაგრამ ამ ჩვენს დალოცვილ ქვეყა-
ნაში, სადაც მზე ძარღვებს აგრე ათბობს,—გიჟია, გადარეული.

გვიღო ღ ლენა გაიქცენ. განრისხებულმა თავადმა ორივე დაიჭირა...
ორი რვეალი კოშკი ააგებია... ერთი ერთ კოშკში მოათავსეს ღ მეორე—
მეორეში.

მხოლოდ კოშკის გალავნიდან შეეძლოთ მათ ერთმანეთის დანახვა.
მწარე იყო მათი სიცოცხლე.

ერთმანეთს უყურებდენ—და დნებოდენ.
წლები გადიოდა, მაგრამ მტარვალის გული შეურაცხყოფას ვერ
ივიწყებდა...

ვერ გაუძღეს ტანჯვას. გვიღომ და ლენამ ერთ დღეს მოისურვეს
შეხვედრა—ანუ, უკეთ ვსტკვათ, ერთი წუთით მაინც ეგრძნოთ, რომ ერთ-
მანეთისკენ მიისწრაფიან, მიილტვიან ...

ორ კოშკში მოთავსებულებმა—თითქოს უსიტყვოთ განიცადეს ამ
სურვილის მიმზიდველობა. ერთმანეთის მოსახვევათ ხელები გაშალეს და
—ორივე ერთ დროს კოშკიდან გადმოეჩანა...

კოშკი მაღალი იყო...
სიკვდილმა მათ შავი სუდარა გადააფარა.

ეს ორი საფლავი დიდხანს იყო მივიწყებული—და მხოლოდ შემდეგ
ნიჭიერმა ხელოვანმა მათ ასეთი ქანდაკება გაუკეთა—დაასრულა მებაღემ.

ამ ამბის გაგონებამ ისე გამიტაცა, რომ ადგომას ვერ ვახერხებდი...
მზე უკვე სინათლეს კარგავდა და სალამოს ბინდმა ამ ორ ფრინველს
ისეთი ჩრდილი გადააქრა, რომ ცოცხალი გეგონებოდათ... მაგრამ ისინი
მაინც უძრავათ იდგენ, რადგან მათ კისრით გადაქლობაში ნიჭიერ მოჭან-
დაკეს გვიღოსა და ლენას გულის სამარადისო ლტოლვა მოეთავსებია.

ჟ. ჯორჯიკია.

შეშორების სურათები.

I.

წვიმა გამუდმებული, წვიმა კოკისპირული,
ქარი გააფთრებული, ფოთლები განწირული...
გაძარცული ტყეები, უსინათლო დღეები...
და ქოტების კივილი, გულის ამაღეღეები.

II.

ქოხში ჩამქრალი კერა, დარბაზში კი სიმღერა,
უპატრონო ობლები, მათი ტანჯული ცქერა...
ქურქში გამოხვეული მდიდრის ლაღი სხეული,
და ტანთ შემოხეული მუშა, ლანდათ ქცეული...

III.

შელახული ოცნება შორეულსა სატრფოზე,
მოთმინება ქრისტესი და მიჯაჭვა აწმყოზე;—
დასახული მიზნისკენ თვალუწვდენი ხრამები...
და ცხოვრების ეკრანზე საშინელი დრამები...

ს. კვანტალიანი.



ხელოვანთა უკვახანა

(Künstlerkabare).

პროლოგსაჲთ.

იატაკზე: ნამწვი, ფერფლი, ნაგავი; მაგიდაზე: გატეხილი ბოთლი, თუ-
თუნი, საეჭვო ფერის საცვლები, ორიოდ ფურცლებაწეწილი წიგნი და
ქალაღდის ნახევები.

აულაგებელ ლოგინზე ჩაცმული წევს და თუთუნს აბოლებს.

წამოდგება,

დადის.

ჟოკეის ქუდი; დაბალი, სქელი; შავი ხუჭუჭი თმა; სადღაც ჩავარდნი-
ლი თვალები; წვერი გაუპარსავი; უფერული ყელსახვევი; გაცრეცილი პი-
ჯაკი; ხელი უთრთის; მოკლე, დაკერებული, ულაზათო ნაოჭებიანი შალვარი;
გალოშები.

დადის ზურგზე ხელებდაწყობილი, თითქო ვიღასაც ეპარებაო.

მთლიანად—პარიზელი აპაში....

მიუჯდება მაგიდას,

სწერს;

მერმე ადგება და ფიქრობს:

— გავგზავნო?... არ გავგზავნო?..

თეატრალური პოზით დადგება და კითხულობს:

ლ ი ლ ი!

შეიძლება გამოვიგზავნო ეს წერილი, შეიძლება არა, მაგრამ სწორეთ
არ ვიცი, რისთვის მომესურვა შენთან საუბარი.

შეიძლება შპალერის ნახევებმა, მოხუცი ქალის თვალზე გადმოსავარდ-
ნათ მომზადებულ ცრემლსავით საბრალომ, მაიძულა მოგონებანი გარდა-
მეშალა გონებისათვის და მისი ცქერით გამეტარებია დრო, ასე ზღაზვნით,
ულაზათოდ, უგემურათ მიმდინარე.

შეიძლება შურს ვიძიებდე და შენს ტკბილ ცხოვრებაში მინდოდეს შევი-
ტანო წუთი უკმაყოფილებისა, შარბათის ფილაში ჩაგისხა შხამიანი წვეთი.
შეიძლება!

გვიყვარდა კი ერთმანერთი?

შეიძლება კი, შეიძლება არა!

ვინ იცის, იქნებ ჩემკენ გიზიდავდა ნოხით დაფენილი იატაკი, სურათები ბოკლინისა, ჰავანის ლურჯი რგოლები ან და Fleurs d'Oranger, რომელსაც ასე უხვათ მაპკურებდი თავზე... ვინ იცის, იქნებ ავტომობილის გიჟური სრობოლა და ოპერის ლოქაც გვაახლოვებდა, მაგრამ გვიყვარდა კი ერთმანერთი?

ვინ იცის?!

ხშირათ გხვდები. ვერ მცნობილობ. არ მწყინს—მესმის: აბა როგორ მიწვდები, რომ ქანდარაზე ატუზული, ჭალარა წვერ-ულვაშით მოსილი მოხუცი, ზოგჯერ გზაზე წალადაკერებული, სიცივისაგან შეწითლებული, გახუნებული მოსასხამით მდგომი—შენი ძველისძველი მეგობარია!..

შენ კი მაოცებ: წინათ იას გეძახდენ, ახლა ყაყაჩოთ ევლინები მოჯადოებულ წრეს... მომწონს შენი მარაოს რხევა... მომწონს ღიმილი, ხმა... მაგრამ მიყვარხარ?

არ ვიცი, ღმერთმანი!

ახლა შეუძლოთა ვარ. ჩემთან არ მოხვიდე. შეგხვდო მინდა. მე ჰიშკართან დავჯდები (ნარგიზის ქუჩა, № 19) და შენ ეტლით ჩამოიარე.

იცი რა? მინდა, არ ჩამოიარო: შენი უყურადღებობა დამიმტკიცებს, რომ ძველებს ამაყი ხარ, რომ მოწყალეობისთვის არა გცალია, და თუ ამისრულე თხოვნა, ეჭვი შემეპარება: არ სურდა და დამითმო-მეთქი.

შემოსვლით კი ჩემთან—ა! ა!—არ შემოხვიდე!

მომიტევე, ქალაღის ნაგლეჯზე ვსწერ; შენთვის კიდევ მქონდა შენახული იაპონური სქელი ყვითელი ქალაღი, მაგრამ წვიმას დაუსველებია და დიასახლისს გადაუგდია...

წერილს ვერ დავაშხეფე სურნელება—უკანასკნელი წვეთები მეზოვემ ულვაშებზე გადისვა.... უარი ვერ უთხარი—ძლიერ დავალებული ვარ...

ამ ბარათს კი წაიკითხავ?

გაგზავნი!.. რაც იყოს, იყოს!..

— ლადი!

— რა გნებავს?—მოისსა მეორე ოთახიდან.

— წერილს ვერ წამიღებ?

— რას მომცემ?

— ნუ იგდებ, ბიჭო, თავს: მაინც წასასვლელი ხარ—გამოართვი და ის იქნება!—მოისმა იმავე ოთახიდან.

— ხვალ თეატრის ბილეთს მოგიტან...

ბავში ხტუნვით შემოვარდა ოთახში, გამოართვა წერილი, დახედა მისამართს და სთქვა:

— სწორეთ იმ ქუჩაზე მაქვს საცვლები მისატანი.

— აბა შენ იცი!

ბავში ხტუნვითვე გავიდა.

ყმაწვილი გაუხდელი ჩაწვა ისევ ლოგინში, ვეებერთელა პაპიროსი დაგრიხა და კვამლში გაეხვია.

— ოთახი არ დაეალაგო?— მოისმა ცოტა ხნის შემდეგ მეორე ოთახიდან ქალის მინაზებული ხმა.

— ნუ სწუხდებით, გმადლობთ!—

პასუხათ მეორე ოთახში დაიწყო უკმაყოფილო ხრაგუნა.

ლამაზი ქალის კობჩა საპირფარეოში, ძვირფასი სამკაული, რბილი მორთულობა. ყვავილები ჰყრია, აწყვია, სდგას. სუფთა პაერი—სურნელე-ბით დამძიშებული.

ტრიალა სავარძელში სარკის წინ ზის ხალათში გახვეული ახალგაზდა ქალი და თმას ისწორებს. შემოტრიალდება; ფრჩხილებს ეღვარების მისაცემათ სპილოს ძვლის პაწია ჩოგნით ლესავს, ტახტზე მიწოლილი ყმაწვილი ეუბნება:

— „გაცრცვილსა ტანსა ემოსა ყარყუმნი უსაპირონი“.

ქალი იღიმის.

— ფეხებზე და ქოშებზე კი პოეტები ველარ დამეხმარებიან. Смотрю и впиваюсь, гляжу и не отрываюсь.

— შენ ერთხელ სთქვი ლამაზათ: „სანთელი ჩუმათ იწვისო“; ახლა კი არღვევ შენს აფორიზმს: უეჭველია, ნაკლებს გრძნობ და ამიტომ მეტს ლაღადებ.

— Клянусь я первымъ днемъ творенья,

Клянусь его послѣднимъ днемъ!

— ლენკო, ძველ ამბავს დაეთხოვე, ახალი რამ მიაგებე... გასართობი...

— Хочешь, чтобъ я читалъ?

— სწორეთ... ოღონდ ქართულათ...

— როდის დამიწყე მამულისშვილობა?

— იცი? რუსული გამოთქმა ძლიერ ცუდი გაქვს, და ქართული კი—

— ... რომ არ ვიცი, მშვენიერო...

— გრამატიკულ შეცდომებს მეც ვერ ვამჩნევ, და გამოთქმა კი სმენას ატკობს.

— ოღონდ კი დაგატკობ და...

აიღებს პაწია წიგნს.

კითხულობს:

სუფრას მოსხდომიან, ხილს შეექცევიან.

პატარა ბიჭი მიუახლოვდება დედას, საიდუმლოთ ჩაუფუჭუნებს:

— დედა, ქლიავი მინდა.

— თქვი მერე, რას მაღავ! — უღიმის დედა; აწვდის ხილს.

* * *

განმარტოებულ ოთახში მორცხვათ, თვალდახრილი ზის ორი — ვაჟი და ქალი...

სანთელი იხრება; ხან სრულიად ბნელდება ოთახში, ხან ოღნავ განათდება...

ქალი ღიმილით, რხევით, პოზით ეუბნება:

— თქვი, რას მაღავ!..

* * *

ბავში, ხუთი წლის ბავში წმენდს ფორთოხალს;

თითო ჭდოს დაურიგებს სტუმრებს; უკანასკნელი დარჩება — უნდა პირში ჩაიდვას... ამ დროს შემოდის დედა; შესთავაზებს; დედა უყურადღებოთ ართმევს და სჭამს.

ბავში ჩაიდებს სალოკ თითს პირში; ბევრი მოთმენის შემდეგ თვალები აუცრემლდება...

სტუმრებს ეღიმიება. ბავში იწყებს გულამოსკვნილ ტირილს.

მსხალი!

თხილი!

კანფეტი!

სიცილ-ნარევი თანაგრძნობით აწვდიან ბავშს.

არ მინდა! არა! ფორთოხალი! — სტირის ბავში.

ფორთოხალი კი გამოლეულა...

კარგი ბავში, კეთილი ბავში, სულელი ბავში!

* * *

ვაჟკაცი წლებს შეაღვეს დედ-მამას, წლებს სამშობლოს, მეცნიერებას, ხელოვნებას, წლებს ცოლ-შვილს... როცა სიცოცხლის დღენი მიეწურება — სულელია, თუ იფიქრებს, რომ ვინმე მოეფერება, დააშოშმინებს; იგია გმირი, თუ დინჯის ნაბიჯით, გულდამშვიდებული გასწევს სამარისაკენ, გზაზე მთრთოლვარე ხელით კიდევ ეცდება დარგოს ხე, რათა გავლელმა ხილი იხილოს, ჩრდილი იჩრდილოს!..

მსახურმა ვერცხლის ხონჩით წერილი შემოიტანა.

— უპატარავათ, ლენკო, ნება მომეცი გადვიკითხო.

— ინებე, ინებე, ოღონდ მე წავიკითხავდი — თვალებს რათ ილაღავ?!..

დმერთო კი მომკალი, ვინ ვაგბედა ასეთი ფარატინის გამოგზავნა?
უ, უ!.. წერილი მართლაც საყურადღებო უნდა იყოს—პასუხსაც არ მაძლევ
ვაჟი კედლებზე სურათებს ათვალეირებს.

ქალი კითხვას გაათავებს და ჩაფიქრებული ზის...

—ლენკო!

—ბრძანე!

—სად არის ნარგიზის ქუჩა?

—ნარგიზის ქუჩა... ნარგიზის ქუჩა...

ჰო, ჩუღურეთში გახლავთ... რათ დავჭირდა?

—ისე... იქ ერთი ქართველი მწერალი უნდა ცხოვრობდეს.

—უ!.. ქართველ მწერალს ნუ გამახსენებ!

—??

—მეშინია მათი.

—რათა?

—წმინდანები უნდა იყონ!..

—Ты все болаешь.

—Да, право-же. აი, მომისმინე: ესეც გასართობი ამბავია... სამიოდ
წლის წინათ ბათომში ერთ გიმნაზიელ ქალს შევხვდი... ჩემი გემოვნე-
ბისას... თვალები ზღვის ცქერას უნდა გაეფართოვებინოს, თმა ნიავს აეჩე-
ჩა... ცელქი და ენამახვილი, ჯანსაღი და სადა...

—რამდენჯერ იცვლი გემოვნებას დღეში?

—რამდენ კარგს ვნახავ, იმდენჯერ...

ვერ დაუახლოვდი... ბოლოს ბედმა გამიღიმა! საღამოს გასამართავად მეც
მიმიწვიეს და ისიც. წინათვე გავიანგარიშე, ისეთი პატარა პიესა დამე-
წერა, რომ მე და ის ერთმანერთს შევხვედროდით...

...გწერე—არაფერი გამოვიდა. იქვე ცხოვრობდა ერთი ქართველი;
ვიცოდი, მწერლობაზე ჩემსავით მწყრალი არ იყო. მივედი. აუხსენი მიზეზი
მიკიბ-მოკიბულათ.

დამთანხმდა. მაგრამ, როცა ვთხოვე, რაც შეიძლება მეტი ხვევნა-კოცნა
ყოფილიყო, ნამდვილი მიზანი გადუშალე, ფულსაც დავპირდი, —წამოვარდა
ფეხზე, უნდოდა მცემოდა, და მხოლოდ ჯიჯიფუს ცოდნამ გადამარჩინა...

—ეს რაღაა?—ჰკითხა თავის ფიქრებში გართულმა ქალმა.

—იპონური ხერხია ჩხუბის... ორივე ხელის შუა თითები დაუჭირე,
უკან დავიხიე, გამოვედი კარში და საჩქაროთ კიბე ჩამოვირბინე...

—მგონი მოგვხვდა კიდევც...

—არა, უკაცრავათ... მაგრამ საძაგელ მღვთმარეობაში ჩავვარდი...

ხალხში თავი მეჭრებოდა, დამემალა და—ბრაზი მერეოდა... იმავე
დღეს ჩავჯექი მატარებელში და გავჩნდი, შენს ფეხთა წინ.

—და ასე ადვილათ მეუბნები,—*Фигаро* здесь, *Фигаро* там...
—აღსარებას ვამბობ გულთამხილავის წინაშე.
—ლენკო, ახლა კი წადი...
—რა ტომ?
—საქმე მაქვს.
—მე ვფიქრობ, შენ ნარგიზის ქუჩაზე აპირებ წასვლას, რე წამიყვანე თან.
—არა, შენ რამდენ ჭუჭყს დაინახავ—აჭუჭყურდები...
—არც შენ გირჩევ წასვლას... იქაა მთელი ქალაქის საექვო სამი-
კიტნოები, საექვო სამრეცხელოები, უადგილო მეფხოვენი და თანაბარი
მშვენიერებანი იქ ბრძანდებიან. მოგიცდი მაინც, ერთად წავიდეთ.

—უნდა ჩავიცვა.
—და ჩაიცვი, ჩემთან.
—ნუ სულელობ...
—გარწმუნებ: თუ იმ მხარეში მიდიხარ, ჩაცმას გახდა სჯობია...

ამოიჭვარქნები მაინც...
—კარგია... გეყოფა ოხუნჯობა! ტასო, მოართვი ლენკოს პალტო...
—მაგდებ?

იცვამს პალტოს, ხელთათმანს, იხურავს ცილინდრს.
—სწორეთ!—და მეგობრული ჯიკავ-ჯიკავით მიიყვანს კარებთან.
—ასე ადვილათ ვერ დაგშორდები—მადლობა უნდა გითხრა...
—რისთვის?

—აი, რომ არ მიგყევარ საძებრათ ჯურღმულებში.
—ხიფათის მაძიებელს რომ ეძახი შენს თავს?
—განსაზღვრულ საზღვრებში, ჩემო კარგო. ვქეიფობ, ვსვამ, ვარში-
ყობ, ვთამაშობ, *дениширую даже*, მაგრამ განსაზღვრულ კალაპოტში.
—კარგი, კარგი... ნუ მაცდენ...
—*Adieu!*
—*Au revoir!*

კარებში გაჩერებულს ცალი ხელით ცილინდრი უჭირავს, მეორე ხე-
ლით—იატაკზე დაბჯენილი ჯოხი, და პატეტიურათ ამბობს:

—მაგრამ, როდესაც თფილისის არეს შავი სუდარა გადეფარება და
წმინდა ადგილთ: ოპერას, დრამას—ელექტროს შუქი შემოეხვევა, ჩვენ ისევ...
—არა, მე ცირკში ვიქნები...
ქალი საჩქაროთ იცვამს.
შეჩერდება.
ფიქრობს:
მომწერა, მაგრამ დანიშნულ ადგილს არ დამიხვდება!...
შეიძლება კი, შეიძლება არა...



...გაჭირვებამ ალერსი დაგვაფიწყა. ძველი სიყვარული მაინც ღვიოდა. აბა რა იყო, რომ ხშირათ მშვიერნი ავდგებოდით სუფრიდან, რომ ორიოდე ლუკმა მეტი რგებოდა მეორეს.

აბა რა იყო, რომ, საქმისათვის წასული—დაქანცული რო მოდიოდა შინ, ვინმე ნაცნობთან შესარბენათ დიდ გზას მოივლიდა და ორიოდე ყვავილს მოითანდა, რომ ჩემი მაგიდის გატეხილ ჭიქაში ჩაედვა.

მაგრამ ცხოვრება უფროდაუფრო გვიჭერდა მუხრუქს.

საკვირველია:—სხვაზე არც შრომის უნარი მაკლდა და არც ცოდნა, მაგრამ მესმოდა:

სად პოეტი და სად ჩოთქის ჩხაკა-ჩხუკი!

შენ სუფთა წერას გულს ვერ დაუდებ.

ზღვის პირი, სალი კლდის მწვერვალი, ცაცხვის ძირი და რბილი სავარძელი! რა შენი საქმეა გაკვეთილებზე რბენა?!

სახლში კი ციოდა ზოგჯერ.

და პაწიას ხველა და სურდო არ შორდებოდა.

მახსოვს, უკანასკნელ ორშაურიანს მთხოვდა ცოლი მეთულუხჩისათვის.

—ლიზა, ქაღალდი მინდა ვიყილო.

—დღეს დიასახლისი ლუმელს ანთებს, წყალს გავათბობ, ბავშს ორი თვეა ტანი ვერ დავბანე.

—იქნებ რაიმე დავწერო.

—რა გეწერება!...

—იმ წერიტაა, რომ ორიოდე გროშს ვშოულობთ.

—ეჰ!

იმ საშინელ ღამეს მცირე წრეში ახალი დრამის ნაწყვეტი წამაკითხეს. ბევრს მოეწონა.

ვახშამი დიდებული იყო.

კარგ გუნებაზე ვბრუნდებოდი.

ვოცნებობდი...

ნაწყვეტ-ნაწყვეტათ გავათავე ძველისძველ ნაფიქრი—„განცხრომის დედოფალი“. ეს იყო ათიოდე სონეტი, ერთმანეთში გადახლართული, ვით ერთი გირლიანდის ნაწილები, ვით დაწული ყვავილების ნაწილები, ვით ვარდების ხლართი... აქ იყო ყველაფერი, რასაც მარად ვეჭრფოდი და მარად გამიბოდა.

სიუხვე გონების, სიმდიდრე საუნჯის, შვენება სხეულის, სულის სიმშვიდე და ნეტარება, განცხრომა და... და რომელიც, იქნებ, მე, ცოდვილს, ცოლსა და შვილზედაც მეტად მიყვარდა... მაგრამ არა ვარ გასაკიცხი—

ჩემ თავზედაც მეტათ მიყვარდა.. სატრფო ხომ საყვარელზედაც უფრო
სანუკვარია.

სახლში შეველ. საშინელი თვალს წარმომიდგა:

ლამპა გატეხილი შუშიდან ბოლავდა. ოთახი მოფენილი იყო ძონძე-
ბით, წიგნებით, ნახევი ქალაღებით, ბავშვის დამტვრეული სათამაშოებით;
ლიზა მოხრუჭული იწვა ბავშვის გვერდით.

მეგონა ეძინა.

მივადექი. თვალეზახელილი დამიხვდა.

—რა დაგემართა, ლიზა?

—კვდება...

—როგორ? შალიკოს დაუძახე?

—კი იყო... არაფერი ეშველებო... სითბო უნდაო... ოთახში კი ყი-
ნავს. ლამპას ავწიე, შუშა გასკდა; ლუმელში შევეყარე ყველაფერი—სკამი,
წიგნები და შენი—ღრამა, შენი ღრამა!—გაწიწმატებით დაიკივლა ქალმა.

—ჩემს ღრამას რაღას ერჩოდი?—და მივიხედ-მოვიხედე: ღრამა აღარ-
სად იყო...

—ის არის—ის! ის არის, ჩემი ცოდვით სავსე!.. სამი დღეა მაგას
უზინარ—ვერაფერი გითხარი—ხელი არ შეუშალო-მეთქი. შემოგწირე მე
ჩემი არტიტული სახელი, ტაში, და შენ კი... აი, შეხედე: შენ და შენმა
ღრამამ იმსხვერპლეთ!..

ზეზე წამოიჭრა... ახლაც თვალწინ მიდგას... ფართო ქუთუთოებიდან
გადმოვარდნილი თვალეზი, გაჩეხილი თმა და გაშლილი ხელები...

ჭემმარტათ ვამბობ, არ მახსოვს... გადარეულათ მეჩვენა და მინდო-
და დამემშვიდებია... შემძაგდა ეს ადამიანის სახის დამკარგველი არსება და
მსურდა გამესრისა... შემეშინა და თავს ვიფარავდი... თუ—ჩემი ღრამის
დამწველი ჩემი შვილის დამლუპველათაც ჩავთვალე და შურს ვიძიებდი...

მგონი ყველა ეს ცალ-ცალკე მიეღვებდა თავში, მაგრამ ისეთი სი-
სწრაფით, რომ მეხსიერებამ ვერ გაარჩია და ვერ შეინარჩუნა ისინი...

ესტაცე ხელი.

უცბათ, უგცრათ... გაქვავდა, მოკვდა...

თითქოს ჩემს დახმარებას ელოდაო—და მთელი მოგრაგნილი ტანი
თითქოს შეუბნებოდა: გვონია გისაყვედურებ? დაგლოცოს უფალმაო.

სასამართლომ გამამართლა. რა უგუნურია ადამიანთა სამართალი! რათ
შინდოდა მათი მსჯავრი და გამართლება? განა მრავალტანჯული ლიზა მოი-
თხოვდა ჩემს დასჯას, ან მე ვითხოვდი გამართლებას? რა დამნაშავე იყო ლიზა?..

შემძულდა ლექსი, შემძულდა ყოველივე ლამაზი, მწყობრი, მზიარული,
თითქოს ისინი იყონ ქვეყნიური ჰარმონიის დამრღვეველნი.

რა ბედნიერნი იყვენ ძველი კეთილ-მორწმუნენი!

სადმე, მყუდრო და დაბალ სენაკში—აი იქ მოისვენებდა სული... გავა-
ნათებდი დაბალ, მყუდრო, ბნელ სენაკს ჩემი სევდის შუქით...

უაფასანის ბინადარი.

უეცრათ წამოდგა.

—რა გაჩქარებთ? შემთხვევითი გაცნობა ძლიერ სასიამოვნოა ჩემთვის.

—უკაცრავათ, სცენაზე მიმელიან... მე აქვე ვმუშაობ—მოგესხენებათ...
დროა მოვემზადო.

—ერთი კონიაკი კიდევ.

—ამას სიამოვნებით.

თავზე ღრმით ჩამოიფხუტა ქული... ნაშალი დაჰყარა და წავიდა.

—აა! ქალბატონო!

ხელზე აკოცა.

—აქ ვილაც მჯდარა.

—ძლიერ საინტერესო ადამიანი.

—მოგა ისევ?

—არა...

—შიეძლება დავჯდე?

—დაბრძანდით, დაბრძანდით! უკაცრავათ, ვერ გაგიბედეთ მოწოდე-
ბა... თქვენ აქ ამ დროს... ისიც მარტო...

—მე ძლიერ ხშირათ დავდივარ მარტო.

—ოპერაში, დრამაში კი, მაგრამ აქ...

—განსაკუთრებული საქმე მაქვს... მე ვეძებ...

—ვის?

—აი ეს მიჭირვებს მოძებნას... იგი იცვლის სადგომს, სახელს, პრო-
ფესიას... იყო ლამაზი წინათ, ახლა მახინჯია. წინათ უმაღლეს საზოგადოება-
ში ტრიალობდა, ახლა მეეზოვეებთან ატარებს დროს. არ ვიცი, ახლა რას
ეძახის თავს, წინათ Posa-ს ვეძახდით.

—პოზას?

—შილერის მარკიზ-პოზა არ გახსოვთ?

—შილერი კი მახსოვს, მაგრამ რა შუაშია?

—უეჭველათ რაინდულმა ხასიათმა, უცხო ტომობამ და უღევმა შე-
ძლებამ შეარქვა.

—მერმე? მერმე?

—მერმე ბოდლერს ეძახდენ.

—სად Posa, სად ბოდლერი?

— მაგიც ასე ამისხნეს: ცირკის ჯამბაზ ზანგის-ქალს დაახლოვებოდა და
ორიოდე სონეტიც ეძღვნა მისთვის.

— ქართულ პოეზიას კარგათ ვიცნობ, მითხარით სონეტი—და ავტორს
ადვილათ მოენახავთ...

— ნაბეჭდი ვერსად ვიშოვე და ერთი ტაეპი კი რაღაც ამგვარი უნ-
და იყოს:

აი ჩემი გული, სპეტაკი ვით ცრემლი.

შავ ხელში გაძღვე, დასვარე წყეული!

— ამგვარი არაფერი წამიკითხავს... სად იყო დაბეჭდილი?

— იმიტომაც ვერ ჩავიგდე ხელში, რომ დაბეჭდილია არა ჟურნალში
ან გაზეთში, არამედ ქუჩის გამომცემლის ვილაც შახბარათოვის ორკაპიკიან
წიგნაკში...

— *In vino veritas!* მივატოვოთ უცნობნი და საკვირველნი. მიირთვით
ყავა კონიაკით— და უცნაური საცნაურათ გახდება...

— სიამოვნებით!.. აქ რაღაც ისეთი ჰაერია, რომ უნდა დალიო... გაი-
ბრუო თავი... გაბრუდევ... მომეცით პაპიროსი... ოპიუმი აქვს?

— ნურაფერს მოგატყუებთ, ქალბატონო, ოპიუმინი პაპიროსი საქართ-
ველოში არ მოიპოება...

ცოტა სიჩუმის შემდეგ

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ის აქ არის სადღაც... ვგრძნობ...

— მეც ვფიქრობ... ყველა გზააბნეულის, გზაგადამცდარის სავანეა ეს
ყავახანა... ოღონდ, თუ ფული აღარ აქვს...

კონიაკს მოსმენ.

— არ იცით, სად იდგა უკანასკნელათ?

— ერთი კვირის წინათ გადასულა სახლიდან—როგორც ეტყობა, უეც-
რათ, მოულოდნელათ... დიასახლისმა ახლაც არ იცის, სრულიად მიატოვა
ბინა თუ სადმე შერჩა და ისევ დაუბრუნდება თავის ოთახს...

ნურაფერს მეტყვით, ქალბატონო, ბუნების გულკეთილობაზე,
გაცვეთილია!

თანაც სიყალბეა!

თქვენ არ შეგეფერებათ!

პირიქით, ბუნება თითქოს დასცინის ადამიანს:

მთელი წელი, მთელი ღღე, წლის ყოველი დრო.

გაზაფხულდება, მოირთვება ბუნება; ადამიანი გულის კარს გააღებს.

ტკბილათ ამოისუნთქავს; რბენა სწყურია, ცეკვა, მღერა, ყნოსვა ყვავილთა,
და სწორეთ ამ დროს ილიევა ბედელში პური, ქურში ღვინო; სამხიარულო
კრებების მაგიერ ადამიანი ხარკით ებმება უღელში, რომ არ დარჩეს
უჭმელ-უსმელი.

ზაფხულში, როცა ჩრდილი უნდა ეძიოს,—მიწა ოფლით მორწყეო,
უბრძანებს საჭიროება.

აი, მოიხდის ვალს, ჭაპანწყვეტით შეკრებს სანოვაგეს, სასევა ყოვე-
ლით... მაშინ სიცივე და თოვლ-ჭყაპი ჩააბამს სახლში, ალერსის მაგიერ უმზა-
დებს ტილს და ძილს.

და მთელი ტენიკა, ხელოვნება, მეცნიერება, რელიგია განა მხოლოდ
იმის ცდაში არ არის, რომ ადამიანი გაათავისუფლოს ბუნების დამცინავი
ბრჭყალებისაგან?!

ჩემი ბუნება მოითხოვს სათაყვანებელს...

ვერ წარმომიდგენია ისეთი სულის თქმა, რომელიც გაყენილი არ
იყოს გუნდრუკით ჩემი უმაღლესი, თრთოლვის მომგვრელი არსებისადმი.

მე უნდა ვიყო ნაწილი რისამე და ვინმე თავისი ნაწილით უნდა იმარხე-
ბოდეს ჩემში.

პატარა რომ ვიყავ, ეკლესიას, ხატს ვერ ჩაუვლიდი, რომ ტანსაცმელ-
ში დაფარულ ხელს ჯვარი არ გამოესახა, და ვფარავდი, ვმაღავდი ჩემი
გულის-კვეთებას არა დაცინვის შიშით—არა! მერიდებოდა, არსება იგი
მაღალი არ შეურაცხეყოთ.

იციო, ქალბატონო, რომ მე, თქვენი უსაქმური Iazzaron-ი, ღამეებს
ვათენებდი დიდისა და მცირე ფოლიანტების გადაწერით, კითხვით!.. მე
ვიცი ზეპირათ მთელი გვერდები ნიუტონის, მაკიაველის, ბერგსონის თხზუ-
ლებიდან, და—რაც თქვენ უფრო გაგაკვირვებთ—ვიცი ყველა იმ კალონიე-
ბის სახელი, რომელნიც შავ-ზღვაზე ოდესმე ჰქონიათ ბერძნებს... ერთხელ
წავიკითხე, მომეწონა და გავიზვირე...

და მეცნიერებაც ჩემთვის თავის დღეში არ ყოფილა იარაღი... არა,
ის იყო ცოცხალი არსება—სატრფო, რომლის ყოველი მცირე ნაკვთიც
აღტაცებას იწვევდა და მოვლა-ალერსისთვის მიწვევდა.

ხელოვნება!... განა მე უცქერდი, ვისმენდი, ან ვკითხულობდი დიდე-
ბულ ხელოვნურ ნაწარმოებს?!

არა!—მე ვსვამდი, ვსაზრდობდი, ვყლაპავდი და თავის დღეში არ
გამივლიდა თავში—იგი ან მეყიდა, ან შევხებოდი, მე მხოლოდ ვთრთოდი,
ვით ტოტზე მჯდომი ხაყო, ვით მზის სხივებში მომფრინავი მერცხალი,
ვით გედი ტბაში...

და ქალი!

ეს ხომ ჩემი სულია და გული! იგი ხომ განუყოფელია!

ყვავილში, ქალბატონო, ტკბილ ხმაში ვხედავ მე ქალს... არა ერთს...
არა ორს... არა შავთვალ-წარბას და წელ-წერწეტას... არა!—ქალს!.. რა-
ღაც მომხიბლველს... სულთამხუთავს!..

ქალბატონო, მე ამან დამადნო, გამაცამტვერა, ეს მარადი აღზნება

ვერ აიტანა სუსტმა სხეულმა... თუმცა ძლიერია სული, როგორც წინათ იყო... და სწორეთ სხეულის წამლათ აი ამ ყავახანას შემოვადარე თავი... დიდი ხანია... აქ ვერ ასწრებს ღვინო, რომ სავსებით დამიპყროს, და გამიტაცებს ქალი. ქალისკენ რომ გაიხედავს გულისყური, მაშინ სმენას ვისიმე მელოდორი ხმა მიიზიდავს... ეს აბუღრიანებული არე, სურნელოვანი ჰაერი, ეს შეერთება ლამაზისა და მახინჯისა, უმანკობისა და გარყვნილებისა—საერთო უკიდურესობა მამუვიდებს: ამუვიდებს სულს, თუმცა სხეული იწეწება... ინტრევა. ფანტასმაგორია! ჯადოქრობა! ზღვის მყუდრო ნაპირზე, მრწამს, სხეული დამიმუვიდდება, მაგიერად სულის აბობოქრება დაიწყება—იმისი მეშინია ყველაზე უფრო... ერთხელ კინაღამ გადვირიე... რათ დაგიმალოთ, კიდევაც შემიყვანეს გადარეულთა თავშესაფარში...

გსურთ ეს ამბავიც მოისმინოთ?

გიამბობთ...

—არა, არა! მერმე.

—გეშინიათ?

—არა, მერიდება—ნერვები აგეშლებათ კიდევ უფრო.

—მაშ კარგი, გავჩუმდები.

—შიდღება ვცდებოდე, მაგრამ მეტი გამოსავალი გზა არა მაქვს...

ქალბატონო, ვიღებ აი თქვენს ხელს—ვერ წარმოიდგენთ, შეიძლება ჩემს სახეზე კი წაიკითხოთ—რა ნეტარებასა ვგრძნობ!.. ეს თქვენი ხელები—ნათალი, გრძელი—მიპყრობს... მიზიდავს, ვით ჯადო—გველი... იგი მაგონებს მარმალლოს და თასმას, რომელიც ყელზე მეჭირება. აი ამიტომაცაა, ქალბატონო, რომ სული მეხუთება, მაგრამ ამბობენ: ჩამოხჩობილი უკანასკნელ წამს ღვთაებრივ სიტკბობას გრძნობსო, და მეც ისე ვარ... ამ ხელს ნუ მომაშორებთ... ვეამბორები... რა მშვენიერება ხართ, ღმობიერი ხართ თუ მკაცრი—ყოველთვის!.. ო, რომ შემეძლოს თვალების... შესუნთქვა... ეს კი იქნებოდა მეორეთ მოსვლის ნეტარება!..

რა მშვენიერი!.. სხეული—ატლასის, ხელი—სანთლის, გული—მარმარილოსი, ტუჩი—შინდი, კბილი—სხივმფენი, თვალები—ზღვა და თმა—შავი ღრუბლები... რა მშვენიერება ხართ!..

ჩემგან არაფერი სასიკეთო და სახარბიელო არის მოსალოდნელი, ქალბატონო! დამრჩება მხოლოდ მაღალი სიყვარული და ნაზი გრძნობა... გამოუთქმელი... გამოუთქმელი ტრფიალი და შეუსრულებელი გეგმები. ჩემს უბის წიგნში თქვენ ჩავახედებთ ოდესმე და იქ ნახავთ უთვალავს დაწყებულ ლექსებს, ღრამებს, მოთხრობებს—ისტორიულ გამოკვლევასაც კი...

აი ამ ყავახანამ შეიწირა ჩემი ნებისყოფა... მან შესვა ჩემი აწმყო და უარი მათქმევინა მომავალზე. ეს გაჩაღებული ხომლები, ეს საეჭვო ხარის-

ჩამოეშვენ ჩემსა და გარეშე ქვეყანას შუა... და ველარ გადავწევ ფარდებს...
მათ ჩაქსოვილი აქვთ ჩემი ტანჯვაც და ნეტარებაც.

აი კონიაკი... მინდა—დავლევ, მომინდება—გავტეხ ან თქვენ მოგაწოდებთ, და დიდი-დიდი—ერთი შეწყურეთ... მაგრამ თუ ყავახანაში სიარულს განაგრძობთ, ისევ უნდა მოხვიდეთ ჩემთან და მეგობრულათ ისმინოთ ჩემი ბოდვა და მაიმუნური სახის მანქვა... ვანა თქვენ ნებას მომცემთ სადმე საზოგადოებაში ასე ვეალერსო თქვენს თითებს?! რა თქმა უნდა, არა! და ამიტომაც, ცალი ყბა რომ კრულვას უგზავნის ამ ტაბაკელას დამაარსებელს, მარცხენა ხელი ფსალმუნს სწერს ყავახანისას...

(გაგრძელება შემდეგ)

6. ლ.

განშორების არია.

დაინესტენ ღლეები, მოწყენილი ქრებიან.
ოცნებებით დაგერშილს შორეულებს წაყვები.
დარჩენილი ლანდები ჯავრით-სევდით თვრებიან
მოგონების ალერსში დაბინდული ძარღვებით.
ირგვლივ ხედავ გაზაფხულს და ხალისის მოლია,
დანასერი ღამეზე გალურჯებულ მინებით
სულის ნიღაბს დაზაფრულს სტანჯავს მელანქოლია
და თვალები ამევსენ მგლოვიარე იებით.
ვაქრა სულის სანთელი, დაფერფლილი უმზეოთ.
წუთის გაჩირაღდნება დაიკვივლებს ამაყათ,
და თუ რომ შენ დამტოვე და თუ დავრჩი უმწეოთ,
ისევ ლანდებს გავყვები ეშაფოტზე ამაღამ...
გაზაფხულის იმედი საუკუნოთ მკვდარია...
ვათრობს, ვით ჰანიმედი, განშორების არია.

დაჟლ ცაგარელი.

ჩვენს სიმბოლისტებს.

1834 წელს ვიქტორ ჰიუგომ პასუხი გასცა მოპირდაპირეთ შესანიშნავი ლექსით: „პასუხი და საბრალმდებლო ოქმი“.

ეს ლექსი სიმბოლიზმის გენიალური ნიმუშია. მაგრამ რა განსხვავებაა მის სიმბოლიზმსა და ჩვენი მოდერნისტების სიმბოლიზმს შორის!

ვიქტორ ჰიუგოს ლექსში სიმბოლები სადა, მარტივი, ადვილად გასაგები არიან და მათი დანიშნულება მხოლოდ ის არის, რომ აზრი უკეთ გააშუქონ, უფრო ნათელჰყონ, მოქმედება უკეთ დაასურათონ, გამოაჩინონ, სხეულის ნაკვთები უკეთ გამოაქანდაკონ, ჩამოახსნან.

ვალაპარაკით თვითონ ვიქტორ ჰიუგო.

„მე რომ კოლეჯიდან გამოვედი... დავინახე, რომ როგორც სახელმწიფო, აგრეთვე სიტყვები დაყოფილი იყვნენ კეთილშობილ და არაკეთილშობილ ნაწილებად. პოეზია მონარქია იყო, სიტყვები კი—ზოგი ჰერცოგი და ზოგი—უბრალო მჯღაბნელი..... სიტყვები კასტებად იყვნენ დაყოფილნი.... მალახარისხოვანი, მოქარგული სიტყვები აღნიშნავდნენ თედოს, იოკასტას, მეროპეს ამბებს.... ლაზღანდარა, მდაბიო, მათხოვარა სიტყვები—პროვინციულურ ენას ეკუთვნოდნენ.

უბრალო ამბებისათვის კი სულ სხვა სიტყვებს ხმარობდნენ—ჩამოფლეთილს, შიშველს, თავდაუხურველ სიტყვებს.... და მე დავბერე რევოლიუციონური სული ...ალარ არის სიტყვა სენატორი, ალარ არის სიტყვა მდაბიო.

მე ავიღე და დავანგრეე რითმების ბასტილია. დავამსხვრიე რკინის რგოლები, რომელნიც ავიწროვებდნენ სიტყვას, და გავათავისუფლე ჯოჯოხეთიდან ყველა ძველი დასჯილი სიტყვა.... და სიტყვის გაათავისუფლებით გავათავისუფლე აზრი.

კაცის მოქმედებათ ერთიდაიგივე თვისება აქვთ....

უბრალო სიტყვა დაბალი ხარისხის მხედარი იყო,—მე მას უფროსობა ვუბოძე... „საყნოსველს“ ცხვირი ვუწოდე, „ოქროს ხილს“—მსხალი.... მე ვუთხარი სიტყვებს: იყავით რესპუბლიკა... და მალახარისხოვანი ლექსი პროზის შავ ძაღლებს გადაუგდე.

სიტყვები ახლა თავისუფლად ნავარდობენ, მწერლები თავისუფლად ლაპარაკობენ, ჰემმარიტებამ განდევნა თავმომაბეზრებელი პედაგოგები, ოცნებამ ფრთები გაშალა—და, აი, პოეზია იცინის, კენესის, გალობს, იზრ-

დება.... მუზა განახლდა, სტირის კაცობრიობის უბედურობას, იბრძვის და ნუგეშს იძლევა, მიმოიარება ზენიტიდან ნადირამდე, რე მიჰფრინავს, აქდერებს ქნარს, ისერის ნაპერწკლებს, აელვარებს თავის ურიცხვ თვალს თავის ურიცხვ ფრთაზე.

და მკითხველის ენა გათავისუფლდა მის სულთან ერთად... ენას უჭირავს ხელში თავისუფლება, თავისი და... პროზა, ლექსი დრომა თავისუფალია... გამოთქმა, გრძობა თავისუფალია... თავისუფლება, რომელიც საფუძვლად დაედო ენას, დაჰქროდა ხელოვნებას... იღამაღლა დაცემული ხალხი—რე განასახიერა იდეა“.

აი კიდევ ამ ლექსის ერთი ადგილი:

„ლექსმა, რომელსაც ოდესღაც შუბლზე ირგვლივ თორმეტი ფრთის ღერი ჰქონდა და რომელიც მუდამ ორფა თხილამურზე დაიარებოდა, გასტეხა ეს წესი.... გათავისუფლდა, ფრინვლად გადიქვა და.... ცაში ფრენა დაიწყო“.

და ამ ლიტერატურულ რევოლიუციას ვიკტირ ჰიუგო საფრანგეთის დიდ რევოლიუციას ადარებს.

რა იყო ამ რევოლიუციის დედააზრი? ისა, რომ სიტყვამ მოიშორა თავიდან ნაძალადევი, პირობითი ბუნდოვანობა და ნათელი, ადვილად გასაგები აზრის, იდეის პირდაპირ გამომთქმელი შეიქნა. ლექსი ჩამოხტა ოჩაფხებებიდან და თავისუფლად გაიარა—გამოიარა, გათავისუფლდა ხელოვნურად შექმნილი ჩარჩოებისაგან, წმინდა ჰაერზე გამოვიდა და სული ამოითქვა. დიახ, ეს დიდი რევოლიუცია იყო.

სამწუხაროდ, ლექსი კვლავ შეკოლიკდა ოჩაფხებებზე. სიმბოლასტური მიმართულება, რომლის გვირგვინოსან ბელადათაც მაღარმე იყო, სიტყვების ჯამბაზობად, თამაშად გადაიქცა. თვით მაღარმეს ზოგიერთ ლექსს თარჯიმანი სჭირდება, რომ გაიგოს კაცმა.

ჩვენში ხომ სიმბოლისტური მიმართულება ჯამბაზობის უკიდურეს განვითარებას წარმოადგენს. რა ახასიათებს ამ მიმართულების ლექსებს? აზრის, იდეის არარაობა, გაუგებარი სიტყვების სიჭარბე, უცნაური თავის ქება, განდიდების მანია....

იწამეთ ჩვენი ნიჭი, ჩვენი გენიოსობა, ჩვენი ღვაწლი. თანამედროე რუსთველები ვართო, გვეუბნებიან.

მაგრამ ვერ გავივით, რა სწადიათ, რას მოითხოვენ. მეოცე საუკუნე კერპთთაყვანისმცემლობის ხანა არ არის, მაგრამ თუ არ გავაღმერთებდით, დაფნის გვირგვინებს მაინც დაგუწნავდით ჩვენს სიმბოლიტებს, მათი ღვაწლის დაფასება რომ შესაძლებელი ყოფილიყო.

მაგრამ ეს შეუძლებელია. და ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად მოვიყვან ზოგიერთ მაგალითს.

ნ მისის „საქართ. ახალმწერლობის საბჭოს“ მიერ გამოცემული „პოე-
ზიის დღე“ ამისთვის საკმაო მასალას იძლევა.

ტიციან ტაბიძის ლექსი „მელიტას“ ისე გაუგებარია, როგორც პითიას
ბოდვა. ვის შეუძლია გაიგოს, მაგალითად, ასეთი ადგილები:

ალექსანდრია.... ყარაბულახი.

ასტრალი წევარი, ღმერთი მელიტა;

მოდგება ლექსი, როგორც ულაყი,

მადონა აფთარი, ღმერთი მელიტა“ და სხ.

ლექსის დანარჩენ ნაწილშიაც ამგვარივე ხროვია გაუგებარი სიტყვების.
არც ვალერიან გაფრინდაშვილს ლექსი „აბრაკადაბრა“ არის უფრო
გასაგები. სათაური ნიშნავს სიტყვას, რომელიც ციებ-ცხელებას განადგებს.
გაუგებარია აქ მისი მნიშვნელობა

მთელი ლექსი, შეიძლება ითქვას, იეროგლიფებით არის დაწერილი,
რომელთა შიგნითაც რა არის დაფარული, არავის არ შეუძლია გაიგოს,
თუ თვითონ პოეტმა ლექსს მისი თარგმანი არ დაუმატა!

ამოვსწეროთ პაოლი იაშვილის ლექსიდან „ტიანტ ტაბიძეს“ ერთი
ადგილი:

„ყვითელ ორპირში ყანჩების კვალზედ დადის პოეტი შიშით, ციებით.
ციების პოეტს ცრემლი აქვს თვალზედ, და შვილის აკვანს ავსებს იებით“.

ნაძღვეს დავსდებ, თუ ვინმე გაიგებს, რას ნიშნავს, რას მოასწავებს
ან „დადის ყანჩების კვალზე“, ან „ციების პოეტი“, ან მთლად ამ ოთხი
პჭკარის შინაარსი!

ან რას ნიშნავს;

„მაგრამ ორპირის აღონაისი ისევ ორპირის სტირის ნაპირზე“..

კიდევ უფრო გაუგებარი და სასაცილოა:

„ვერ შეაჩერე მამის გოდება ორითვიანი შენი კბილებით“.

სასაცილოა, რადგან, ჯერ ერთი, ორი თვის ბავშს კბილები არ აქვს,
და, მეორე, „კბილებით გოდების შეჩერება“—არავის გაუგონია.

ასეთივეა სხვა ადგილებიც. აი ერთი ადგილი გრიგოლ ცეცხლაძის
ლექსიდან: „პოეტის ყეფა“:

„ვარ გაბრაზებული და მოდიან ფიქრები მძიმეები, როგორც რკინე-
ული. მე მინდა ვიყო მდიდარი და მქონდეს ბალები მოშენებული“.

რის სიმბოლოა?! რის თქმა უნდა? ლექსია? პროზაა? გაუგებარია და
თან სასაცილო.

გაუგებარია აგრეთვე ნიკოლოზ მიწიშვილის „ხატი ძახთა-პირი“.
აქ, შეიძლება, იფიქროს კაცმა, რაცღა ირონია არისო, მაგრამ რა? რის
შესახებ? ამის გამოცნობა შეუძლებელია.

და ჩემი აზრით, ნ. ლორთქიფანიძის მინიატურას—„იმედის ვარსკვ-

ლავს“—ადგილი არ უნდა ჰქონდეს ამ კრებულში. აქ იდეაც ნათელია და დეტალებიც ხელოვნურად შესრულებულია.

ამ გამონაკლისით მთელი კრებული წარმოადგენს ისეთ გაუგებრობას, როგორსაც ვალ. გაფრინდაშვილის ლექსის სათაური.

დასასრულ, ვერ გავიგია, რატომ აქებენ ეს დაძმობილებული პოეტები (?) ერთმანეთს? რატომ უწოდებენ ერთმანეთს გენიოსებს? ვინ იცის? რომ გავგეგო მათი ნაწერების შინაარსი, იქნება ჩვენც დავეთანხმებოდით. მაგრამ, ვიდრე ოჩაფხეზებიდან ძირს არ ჩამოვლენ და თავის ბუნებრივ ლიტერატურულ სახეს არ გვიჩვენებენ, მანამდის ჩვენთვის—უბრალო მოკვდავ მკითხველთათვის—გამოუყენებელი სსფინქსები, უკეთ ვთქვათ, არარანი არიან.

ასეთივე გაუგებარია ქუთაისის კრებულის—„უქიმიერიონის“—ზოგიერთი ლექსი.

ბესარიონ ჟღენტის ლექსში—„ორგია მთვრალ მეგობრებთან ექსკურსიაში“—შეუძლებელია გაიგოს კაცმა რამე. აი ნიმუში:

„აშფოთებს ველებს ცეცხლნარევი ჩვენი ორგია,
ვაბრუებთ ყანებს, ჯეჯილებს და მწვანე ვენახებს...“

ან კიდევ:

«ზეცავ, აღარ მსურს, ჩემმა ჩანგმა ხარკი გაძლიოს...

მოვალთ ლოთები!... მთვარევე, შესდექ, მზე გვსურს, მოგვეციო!...»

გაუგებარია აგრეთვე ა. გაბესკირიას „გასვენება ფირუზის ფოთლებში“. ვერაფერ ვერ მიხვდებო, რის თქმა სწადია ავტორს.

უან ლოლობერიძე ეტრფის რაღაცა ვნებას, გაურბის რომელღაც ცოდვას, მაგრამ გაუგებარია, რომელ ვნებას ან რომელ ცოდვას („ვილისები“).

ამგვარად უქიმიერიონის მეღექსეები ზევეთხსენებულ მეღექსეებს მოგვაგონებენ.

როგორი-ღაა პროზა?

ღია ჩიანელის „უცნაური სარკე“—სიმბოლისტური მინიატურაა. შინაარსი—ძნელად გასაგებია, ვიდრე თვით ავტორს არ გაუხსნია ფრჩხილები სიმბოლოებისათვის, მაგრამ, ავტორის შემოქმედება რომ სწორ გზას ადგეს, უეჭველია, ხელოვნური ღირებულება ექნებოდა, ვინაიდან ხელოვნების ერთ-ერთი პირობა—მოკლედ, ლამაზად და მხატვრულად თქმა—შესრულებულია.

— ჯაჯუ ჯორჯიკიას „ცხოვრების ნიუანსები“ მისი ხელოვნური შემოქმედების ერთერთი ნიმუშია. ავტორი ცხოვრების წვრილმანი ამბების მომთხრობელია...

წვრილმანი ამბავია მოთხრობილი მინიატურაში „ქალი თუ კაცი“; მეტი ყურადღების ღირსია შინაარსი მინიატურის „ჩაფიქრებული ღმერთი“, რომელშიაც გამოხატულია ხალხის მიერ სათაყვანო კერპის შეცვლის სი-

წელე. უნდა ვთქვა კი, რომ ამ მინიატურაში ფორმა არ შეესაბამება, ძსრულება ვერ სწვდება განზრახვას.

მინიატურაში „უსისხლო რომანი“ მკრთალად არის გამოხატული ქალის გულისტკივილი, როდესაც ის, ვინც მას უყვარს, მისი სხვაზე გათხოვების ამბავს გულგრილად მოისმენს.

დასასრულ, მეტისმეტად წვრილმანია შინაარსი მინიატურის „წაგებული ნაძლევი“. შინაარსის უკიდურესი დაწვრილმანება კი სცილდება უკვე ხელოვნების საზღვარს...

შაშ კიდევ მოგუწოდებ ჩვენს სიმბოლისტებს: ნუ გახდიან სიმბოლიზმს კერპად. ცხოვრება იმდენათ რთულია, რომ მისი დასურათება არ შეიძლება მარტო ერთი მხრით. ამისთვის საჭიროა პირდაპირი თქმაც და სიმბოლოების მოხმარებაც, ლიტერატურაც, მხატვრობაც, ქანდაკებაც, მუსიკაც, მჭევრმეტყველებაც, მეცნიერებაც და ფილოსოფიაც.

და უდიდესი ლიტერატორები მდიდარი იყვნენ გარეგანი ფორმითაც და შინაარსითაც.

ყოველივე წვრილმანი კი, რომელიც ცხოვრების მარტო პატარას, უმნიშვნელო კუნჭულს შეიცავს და ისიც დამახინჯებულის, დაკოჭლებულის, განგებ გაღარიბებული სიტყვიერი მეთოდით დასურათებული, გულს ვერ ალაგზნებს და სულს ვერ წარიტაცებს, ე. ი. დარჩება ხელოვნების გარეთ.

ვახილ წერეთელი.

ქართული ფუტურისტების მანიფესტის გავლ.

ქუთათურმა ფუტურისტებმა მაისის პირველ რიცხვებში გამოაქვეყნეს მანიფესტი.

ესა და ამის მზგავსი „მანიფესტები“ მე დიდი ყურადღების ღირსათ არ მიმაჩნია, მაგრამ ვინაიდან ჩვენს დღევანდელ საზოგადოებაში საკმაოდ ბევრია იმისთანა წევრი, რომელნიც განურჩევლათ ყველას, ვისაც სცენაზე დაინახვენ—ავია თუ კარგი—უკრიტიკოთ, გულუბრყვილოთ ტაშს უკრავენ ხოლმე,—ამიტომ საჭიროთ ვსთვლი ეს „მანიფესტი“ ორიოდე სიტყვით დავახასიათო.

მანიფესტს, თვით ავტორების ტერმინოლოგიით რომა ვსთქვათ, „სითამამე“ და „ამბოხება“ ახასიათებს. ახალგაზდა ფუტურისტი-მწერალნი „ამბოხებულან“ და სწადიათ ძველი საქართველოს სახელი ზ ხსენება სრულიად წაშალონ; ისინი დიდი სითამამით (მე უფრო მაგარის შესაფერი სიტყვის ხმარებას ჯერჯერობით ვერიდები) აცხადებენ: „ჩვენ უარყოფთ წარსულს!... ამიერიდან საქართველო ჩვენგან იწყებაო!“

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს კატეგორიული გაცხადება—„უარყოფთ წარსულსო“—წარსული საუკუნეების მთელ ჩვენს კულტურას შეეხება—ყველაფერს, რაც კი დღემდი გაკეთებულა—და, სხვათა შორის, ქართულ ენასაც, და ალბათ ენაც ახალი სწადიათ შექმნან... თუმცა, როგორცა ჩანს, ახალი მათ ენაში არაფერი იქნება, გარდა დღემდი შემუშავებული ენის ისეთი უცოდინრობის გამოჩენისა, როგორიც მათს პაწია მანიფესტშიც კი გამოსჭვივის, რომელიც აშკარა შეცთომებითა და სიმახინჯით არის სავსე: 1) „საუკუნოებით“ (=საუკუნეებით), 2) „არახოდეს“ (=არაოდეს), 3) „გალიარებთ“ (=ალვიარებთ), 4) „დეე ძველებმა იკვებონ წარსულის ცქერით“ (=ძველები იკვებონ), და სხვ. და სხვ. (იხ. „მანიფესტი“).

ან ეგებ უდიდეს პროგრესათ მიაჩნიათ ის წყობა ლექსებისა, რომლითაც ფუტურისტები ხშირათ სწერენ ხოლმე და რომელშიც არც რიტმია დატული და არც ჰარმონია და მუსიკალობა?!

ჩენი ახალგაზდა „მეამბოხე“ ფუტურისტები ნუგეშს მაინც არ გვაკლებენ ზ გვიცხადებენ: მართალია, წარსულს უარყოფთ, მაგრამ ბრწყინვალე მომავალს გიქადითო! ძველ საქართველოს ვსპობთ, მაგრამ ახალ საქართველოს ავაშენებთ, რომელიც «საქართველო» კი არ იქნება, არამედ



„საქართველო“—ო,—ე. ი. უნდა ვიგულისხმობ—ათასჯერ უფრო ბრწყინვალე, ყველაფრით სრული და ყველასათვის სამაგალითო!

თქვენს პირს შაქარი! აბა ვინ არ დაეთანხმება იმ დებულებას, რომ საქართველო ყველაფრით ამაღლდეს და გამშვენიერდეს!.. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? ნუთუ იმისათვის, რომ, მაგალითად, ქართული პოეზია დღევანდელზე მეტათ განვითარდეს ზ გამშვენიერდეს, წიხლი უნდა ვკრათ რუსთველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკის და სხვებს—და ვიწამოთ, რომ „ამიერიდან“ ჩვენში ახლათ მოვლინებული (ხოლო სხვა ქვეყნებში თითქმის უკვე დავიწყებული და უნიადაგოთ მიჩნეული) ფუტურისტები ღვთაებრივი ჰანგებით დაატკობენ ქართველი ერის სმენას— ისე, რომ იგი „ვეფხისტყაოსანსაც“ დაივიწყებს, „გურამიანსაც“, „მერანსაც“, „განდევლსაც“ და „სულიკოსაც“?!

არის კი რაიმე გარანტია ამგვარი რწმენისა?.. შესაძლოა მემამბოხე-მგოსანთა ნაწერები გენიოსური ნაწარმოებნი იყონ, მაგრამ რა უნდა გქნათ, როცა ამ მემამბოხე-მგოსნებმა თანამედროე საზოგადოებას ორი-სამი საუკუნით წინ გაუსწრეს—და მათი ნაწარმოები ჩვენ არც გვესმის და, მაშასადამე, ვერც დაგვატკობს? მეტი გზა არ არის: სანამ ფუტურისტების გენიოსობას შევიგნებდეთ, ნება უნდა მოგვეცეს—თუნდ იმისთანა „ბებერი“ და „დახვესებული“ პოემა ვიგემოთ, როგორც „ვეფხისტყაოსანია“—და საზოგადოთ დღემდე ცნობილ ჩვენ მწერალ-მგოსანთა ნაწერები, რადგან ჩვენ ისინი კიდევაც გვესმის და კიდევაც გვაკმაყოფილებენ.

ვინაიდან ფუტურისტები საზოგადოთ წარსულს უარყოფენ, ალბათ ხალხურ პოეზიასაც უარყოფენ, როგორც წარსულის შემოქმედებას და, მაშასადამე, მომავალი „საქართველოსათვის“ გამოუდევარს!.. მათივე ლოდიკით უნდა უარყოფილ-იქნეს ქართული სიმღერა-გალობა, ქართული მუსიკა, ქართული სამეცნიერო ლიტერატურა ზ ტერმინოლოგია, ქართული ცეკვა-თამაში, ქართული ხუროთმოძღვრება—და საერთოდ ყოველგვარი თავისებურობა, რაიც ჩვენს ერს წარსულში შეუქმნია და შეუთვისებია, ზ ყველა ამის მაგიერ ფუტურისტები სრულიად ახალს, განსხვავებულს, დიდებულს შექმნიან—და საქართველო, მათი მეოხებით, ახლო მომავალში საქართველოთ გარდაიქცევა!..

კიდევ ვიტყვი—„თქვენს პირს შაქარი“—მეთქი, თუ რომ ასე კი მოხდება, თუ რომ მყვირალა ახალგაზდების ნაწერებით და ნამოდგაწით საქართველო უმაღლესათ აშენდება. მაგრამ, ვთქვათ, ასე არ მოხდა (ზ არცა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ეს მოხდება, ვინაიდან—ხომ იცით, რაც არის „სახარე ხარზე“ ნათქვამი!)—და დღევანდელი საქართველო, მათი წყალობით, არათუ საქართველოთ, არამედ საქათმელოთ გარდაიქცა და, რუსთველური ჰანგების მაგიერ, შთელ საქართველოში გულის შემზარავი



კრიახი და ყვილი გაისმა!... მაშინ რაღა გვეშველება? ხომ დავრჩით წარსულგანადგურებულნი, უაწმყოთა და უმომავლოთ?!

არა, არა!

მართალია, დღეს ჩვენს ცხოვრებაში ბევრი დეფექტია, ბევრნაირი შეუგნებლობაა, მაგრამ ვისაც გონიერების ნატამალი მაინც შერჩენია, ვერ დაიჯერებს, რომ საქართველო „ყეფითა და ყვილით“ აშენდება! ვერც იმას დაიჯერებენ, თითქო უკეთესი მომავლის შესაქმნელათ წარსულის უარყოფა, წარსულის დაწიხლვა და შეფუთხება იყოს საჭირო. გონიერის თვალში წარსულის არა თუ კარგი, არამედ ავიც ჭკუის მასწავლებელია, ვინაიდან გონიერ აღმშენებელს ისინი გამოცთილებას აძლევენ ღ უკეთესი მომავლის აღმშენებლობაში ხელს უწყობენ, ზედმეტი შეცთომებისაგან იფარვენ: „წინა კაცი უკანასთვის უნდა იყოს გზათ და ხიდათ“-ო,—ასე უთქვამს გონიერს.

ამიტომ წარსულზე ჩვენ ხელს ვერ ავიღებთ—და სადიდებელს ვადიდებთ, ხოლო საწყევლარს დასწყევლით, შოთას დიდებას განვაგრძობთ, ხოლო თემურლენგ-შაჰაბაზების სისხლის ღვრას წყველა-კრულით მოვიხსენიებთ, და ვეცთებით კარგიცა და ავიც იმისათვის გამოვიყენოთ, რათა მომავალი შეძლებისამებრ ავაშენოთ...

უზაროთ არ არის ნათქვამი: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“-ო! ასეთია ნორმალური მიმდინარეობა კაცობრიობის ცხოვრებისა, და ვინაც ყვირის, რომ წარსული უნდა უარყვოთ, უნდა მოკვეთოთ—და ამიერიდან სრულიად ახალი ცხოვრება უნდა დავიწყოთო, იგი იმასაც იყვირებს, რომ ხე შუაზე გადავმოროთ, ძირი და ფესვები დავსწვათ, მოვსპოთ—და წვერო მშვენიერათ გაიზღებო!..

რატომ ვერ შეუგნიათ ამ „რეფორმატორებს“ ანბანი სინამდვილისა, რომ არც „შხუილით“ მქროლავი მატარებლები და აეროპლანები, არც პროექტორები, არც ავტომობილები და მრავალი სხვა გამოგონება, რომელთაც ფუტურისტები ასეთი რიხითა და კვენა-ქადილით იხსენიებენ, თითქო ისინი მათი გამოგონილი იყონ,—არც ერთი ეს დღეს არ გვექნებოდა, რომ კაცობრიობის გონებას თანდათანობით არ ემუშავა, ძველი დროის გონიერი ნაფიქრი და ნაზრევი მხედველობაში არ მიეღო, ძველი შეცთომები არ გაეთვალწინებია—ღ ამგვარი მუშაობით წინ არ წასულიყო!..

„უკან იხედებით, წარსულით იკვებებით და წინსვლა არ გინდათო“! დაუფიქრებლათ, ბავშურათ წამოსროლილი სიცრუეა ამგვარი შეხედულება იმათზე, ვინაც მატარებელ-ავტობილებამდი, აეროპლანებამდი, ელექტრონ-პროექტორებამდი მივიდენ; ხოლო, თუ კერძოთ ქართველ ერს შევხებით, სხვა წარჩინებულ კულტუროსან ერთა მზგავსათ წინსვლა ბარემ ჩვენც გვეწადა, მაგრამ არა შოთას სახელის დიდება და თაყვანისცემა გვიშლიდა



ხელს, არამედ ის ხუნდები და ბორკილები, რომლებითაც ნიდაგ შემო-
კილი ვიყავით,—ის კოკონი ცეცხლისა, რომელსაც ცხრათავიანი დევები გარს
გვინთებდენ,—ის მორვეი სისხლისა, რომელშიც ბარბაროსნი გვაცურებ-
დენ... და თუ რომ ნამდვილს, ქეშმარიტ თავისუფლებას ვეღირსეთ, ჩვენც
ისე წავალთ წინ, როგორც სხვა კულტუროსანი ერები მიდიოდენ და მი-
დიან ხოლმე. მაგრამ, რაც უნდა წინ წავიდეთ, გავლილ გზას, წარსულის
მშვენიერებას მაინც არ დავივიწყებთ, და როგორც სხვა ერები თავის ჰო-
მეროსებსა და შექსაირებს მადლობითა ღ სიყვარულით იგონებენ და აღი-
დებენ, ჩვენც ისეთივე სიყვარულითა ღ აღტაცებით მოვიგონებთ ღ ვადი-
დებთ ჩვენს შოთას, ვინაიდან იგი საუკუნო ურყევი საძირკველი და მშვე-
ნიერი ფუძეა ჩვენი პოეზიისა!..

საკვირველია, როგორ ვერ შეუგნიათ იმათ, ვინაც ავტომობილ-აერო-
პლანებზე ასეთი რიხითა და თავმოწონებით გაჰკვივიან, რომ ეს ავტომო-
ბილ-აეროპლანები ღვიძლი შვილნი არიან წარსულისა, საუკუნეებით მის
ფიქრსა და აზრში ნატარებნი, მის შეგნებაში აღზდილნი—ღ უზომო ტკი-
ვილებითა ღ წამებით ნაშობნი!.. საკვირველია, რატომ არ უფრთხიან ეს
მყვირალა „ავტომობილისტები“, როცა მატარებელ-ავტომობილ-აეროპლა-
ნებზე ოცნებობენ, წარსულის გამოგონებით თავი უნდათ მოიწონონ, ხოლო
წარსულს კი აფურთხებენ,—რატომ არ უფრთხიან-მეთქი, რომ არ დაე-
მზგავსონ იმ ცხოველს, რომელიც მუხას ქვეშ რკოთი იკვებებოდა, ხოლო
თვით მუხას კი, ამ მისი საკვებავი ნაყოფის გამომცემს, ძირებსა და ფეს-
ვებს უთხრიდა და ახმობდა?!..

ამ წერილს იმ სიტყვებით დავაბოლოებ, რომლითაც „მხატრული მწერ-
ლობის ქუთაისის კავშირის“ გახსნის დღეს (6 მაისს) დამსწრეთ მივმართე:
„ჩვენში დღეს, ისე როგორც ევროპაშიც, სხვადასხვა შკოლას თავისი
წარმომადგენლნი ყავს; ისინი სხვადასხვა გზით მიილტვიან საერთო მიზ-
ნისაკენ, სხვადასხვანაირი საცეცხლურით უკმევენ გუნდროუს აზრისა და
გრძნობის მშვენიერებას... მაგრამ ჩვენ გვწადია—მაინც ერთად ვიყოთ,
ურთერთ-შორის გასაგები საერთო ენა და გრძნობა მოვსძებნოთ და შე-
ერთებული ძალღონით ვემსახუროთ ჩვენი ერის სულისა და საკაცობრიო
აზრის გამოხატვას.—დე ახალმა შკოლამ ახალი გზა გააშუქოს, ახალი სი-
ტყვა თავისუფლათ სთქვას, მაგრამ ყმაწვილური გატაცების უკიდურესობას
აუცილებლათ უნდა მოერიდოს იგი. დე ძველმა შკოლამ მტკიცეთ შეინარ-
ჩუნოს ათასწლობით გამოცთილი უტყუარი მშვენიერება, მაგრამ დე ხურა-
ვინ დაიჟინებს, რომ ძველი გზა მთელი სიგჳე-სიგანიით სწორი და მშვენი-
ერიაო. მოძველებულს ზოგჯერ შეკეთება, შესწორება, შევსება ეჭვიერება
ხოლმე—და სწორეთ ეგ არის პროგრესის სიდიადე, ეს არის წინსვლა და
განვითარება!..“

დიახ, მშვენიერებას ჩვენ ძველსაც თაყვანსა ვსცემთ და ახალსაც, ხოლო სიმახინჯე არც ძველი გვწამს და ვერც ახალს ვიწამებთ, ვინაიდან სიმახინჯე ყოველთვის სიმახინჯეა—და იგი ყოველის გონიერი ადამიანისათვის საზარელი უნდა იყოს. ჩვენ უკან მხოლოდ ჭკუისა და გამოცთილების გასაფართოებლათ და გასავითარებლათ ვინებდებით, ხოლო წინსვლა „გონიერი ნაბიჯებით“ გვწადია,—დიახ, გონიერი ნაბიჯებით, და არა გიჟური წიხდაუხედაობით!.. ახალი მიმართულება—ლიტერატურაში იქნება იგი თუ რომელსამე სხვა დარგში—ჩვენ სრულიადაც არ გვაშინებს, ხოლო უკრიტიკოთ ვერაფერს მივიღებთ, და თუ რომ ახალ მიმართულებაში სასიკეთო რამ შევამჩნიეთ, სიხარულით მივეგებებით. აი, მაგალითად, ახალს ლიტერატურულ შეოღებებში ჩვენ დიახაც მოგვწონს ძიება ახალი მშვენიერი შედარებებისა, ახალი სიტყვებისა და სილამაზისა, მაგრამ ამასთან—არ მოგვწონს აზრების ბურუსში გახვევა, უკიდურესი მისტიციზმი შინაარსისა და გამოთქმისა...

მშვენიერ ძველს მშვენიერი ახალი მიფუმატოთ, ხოლო სიმახინჯე ძველიც უარყვოთ და ახალიც—და მშვენიერისა და მახინჯის ერთმანეთისაგან გასარჩევათ გონიერ კრიტიკას, საღ გონებას მივმართოთ,—დინჯს, წინდახედულ გონიერებას.

ასე გვესმის ჩვენ წინსვლა, პროგრესი როგორც ეროვნულის, ისე საკაცობრიო შემოქმედებისა,—ასე გვესმის ჩვენ კავშირი ძველისა და ახალისა—და გულწრფელათ ვურჩევთ ჩვენს ახალგაზდა მეამბოხე მგოსან-მწერალთ-უკიდურესობის გზა უარყონ ღ მით შესაძლებელი გახადონ, რათა საერთო დიად მიზანს შეერთებული ძალებით ვემსახუროთ.

ბ. ბ.

ქუთაისი ვიქავით.

ქართველი მწერლები და პოეტები ქუთაისში ყოველთვის აქცევდენ ყურადღებას მის მხატვრულ რაობას. ეს იყო „მშვენიერი ქუთაისი, ოქროს ჩარდახი, უკვდავი ბაგრატის ქამთაგან უძლეველი ტაძრით, მღვრიე ცოფიანი რიონით“, ეს იყო, აკაკის რომ აღფრთოვანებით ათქმევინა: „მშვენიერო ქუთაისო, სავარდო და სამაისო“... ეს იყო პოეტისათვის თვალის დამატყვევებელი, კეკლუცი... და ამ სიმშვენიერეს, ამ განცთებს ასწერდა ყველა... ქუთაისი ბევრი რამეთი იყო ღირსშესანიშნავი, მაგრამ არავის ყურადღება არ მიუქცევია იმ ხალხისათვის, რომელიც ქუთაისის თავისებურ ელფერს აძლევს.

არსად ისე ყურადღებას არ იპყრობს ეს მოვლენა, როგორც ქუთაისში, არსად ისე არ იშლება—როგორც აქ.

ქუთაისი—ამ მხრით გრანდიოზული მოვლენაა. მოვლენა, რომელიც დიდი ყურადღების ღირსია,—არა მეცნიერისათვის, რადგან ეს დიდი სისულელე იქნება! ეს საქმეა—პოეტის... პოეტი თავისი გაქანებისთვის უეჭველათ აქ ნახავს ისეთ მოვლენას, რომელიც პოეზიას ახალ სამკაულს შესძენს...

მე მოგახსენებთ იმ ადამიანებზე, რომელთაც ქუთაისი გიჟებს უწოდებს—და რომელნიც ჩემს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ.

ქუთაისში ხშირათ შეხვდებით ს. ჯღამაძეს, მონოგრამებით რომ აქვს ჯოხი მოჭედილი, ფრიად მოლექსე და მკვირცხლი მოლაპარაკე... თავისებური ფილოსოფიით... ხშირათ ნახავთ ქუჩაში მყვირალს, რომ ყველაფერს აკრიტიკებს. „ვის გაუგონია,—ყვიროდა იგი ერთხელ—40 ათასათ გირვანქა თევზიო?! ან თევზი არ ვარგა, ან ფულიო“!...

ნახავთ თქვენ მეორესაც, ყათანზე რომ ხშირათ ყვირის, ბავშვები **რეფოხ** ეძახიან: **ღადღო** სწყინს;—გულში იცემს ხელს და დემოსთენობს...

შეხვდებით მესამეს—**ალფეზას**, მუდამ ვერცხლის ფულს რომ თხოულობს... გაიცნობთ **ვასილას**—ნიკოლოზს რომ უხსენებთ, თვალები გაუბრწყინდება: „თეთრ პურს მოიტანსო“! თვალს მოავლებთ ქუჩაში მიგოგმანეს, იმპერატრიცას რომ უხმობს თავის თავს და მუდამ ნიკოლოზზე ჯვარს იწერს!—აქ არის **ნინო**, კახაკები რომ ძულს. ერთ დროს იყო **მამო**—ყველის მოპარვა რომ ეზარებოდა..! და განა ჩამოვთვლი მე მათ სახელებს?! ბევრია ასეთი მხედარი ქუთაისში—და ქუთაისის ჭეშმარიტათ ამით შეუძლია იამაყოს...

ეს მოვლენა—სარკეა მომავლის...

გიჟობა... ამოცანა... ამოცანა მხატრული განცთების...

მთელი მონოგრაფიაა მოსახზავი. საზღვრების გადაცდენა და ირა-
ციონალი ერთ წერტილში მოექცევა, თუ გაიზმორებს ადამიანის არსში
და აკივლდება სხვანაირათ ტვინი და ნერვები...

მეფე ღირი და მაკბეტი... ნაბუქოდონოსორი და ნიცშე... გარშინი
და ალფესა, გრიშა აბაშიძე და სიმონა ჯღამაძე ჩვეულებრივი ადამიანის-
თვის ხდება გაუგებარი—რადგან—გიჟათ მოუნათლავთ ისინი, იმ დროს,
როცა ამღერებულა მათი ტვინი, აკივლებულა ნერვები... პათალოგია და
მედოცინა ამ საკითხში ისეთივე უსუსურია, როგორც ფინაჩი—ხელოვნე-
ბაში...

სიგიჟე—ეს წარსული საუკუნეების ნანგრევთა მხრებზე შეწყობაა და
მომავლის წინ გასწრება...

აქ ან სიჩქარეა—ან მოდუნება..

გრძნობა და ნირვანა ერთათ გადაშლილა „წითელ ყვავილათ“ და
დრო—სივრცე შთაუნთქავთ..

აქ არ არის დახვსებული, გავერანებული ფილოსოფია..

აქ უარყოფაა თანამედროვე მათემატიკის, მაგრამ ყველაფერი მათემატი-
კურათ სწორია—მიზანშეწონილი.. კაცობრიობა თავის არსში ხშირათ
ატარებს მომავლის აფეთქებას... დანგრეული საუკუნეები, მხრებით აჩეჩილი,
თმებით გაშლილი სწავას მომავალს და ფეერიულ სანახაობათ ქმნის.

ფრიდრიხ ნიცშე, კაცობრიობის მზიან დიდ შუადღებზე რომ ოცნე-
ბობდა, სადაც ზეკაცი ფრთებგაშლილი იზეიმებდა, თვით შეიქნა წინა-
მორბედი გადაბრუნებული ზეკაცის თვისი სიგიჟით. ჩემს წინ იშლება
პორტრეტი-მონუმენტი ნიცშეს სიგიჟის, რომელიც ისეთივე გაქანებაა
ადამიანის ირაციონალის, როგორც არცერთი სიბრძნე—თანამედროვე გაგე-
ბით... და ყველაზე მეტი ირონია მომავლის ცქერისა ნიცშეს ცხოვრებით
გადაიშლება..

მომავალი: დაიმტკრენ საუკუნეები. დატყდენ ისტორიები წარსულის.

ქალაქი მონუმენტი ჩვენს წინ—ახალი ფორმაციით:

შენება, შენება, შენება... სინათლე... სინათლე... სინათლე..

ხმაური... ხმაური... ხმაური...

ახალი გამოგონებანი... ახალი სივრცე .. დრო...

სისწრაფე განუზომელი...

და საუკუნეები იშლებიან ელექტრონის მარაობათ... ფეთქდებიან
რადის—საოცრებით. და კაცობრიობა მივა უკანასკნელ საზღვართან...

ადამიანი გადასული ათასი წლებით წელში გატყდება, სულიერათ
ახალ ფორმაციებში გადავა.

დაჭიმული ნერვები მოწამლული განცთებით გაფიცდება და სიგრიე
დაკრავს თავის დაღს...

და დაიწყება საუკუნე გიჟი ადამიანის...

უკანასკნელი საუკუნე დედამიწაზე—არის სამეფო გიჟი ადამიანის.
კაცობრიობა დამბლას უნდა ელოდეს და ეს დამბლა დაეცემა მსოფლიო
მონუმენტს—ადამიანს, ისე როგორც მეფე ღირს, ან ნიციშეს.. და დაიწყება
წარმტაცი პარაკლისი მსოფლიოს გულზე, სადაც გრძნობის ირონია იქნება
თვალწარმტაცი და აუწერელი... გონება და ჭკუა თანამედროვე გაგებით
დაიშლება, გაიხრწნება და ჭკუის გადაღმა მდებარე რაობა დაიუფლებს
ადამიანს... ახალი ქვეყანა შეიქმნება, სადაც პოეზია იქნება პირველი და
უკანასკნელი... გედის სიმღერასავით მოევიწინება მსოფლიოს უკანასკნელ
წუთებს პოეზია ირაციონალი, ტკბილი და გიჟი... ფეერიული სანახაობით,
ნიღბებით გაციკროფნებელი—მოევიწინება და დაიმსხვრევა საუკუნეების
მსვლელობით, როცა ცალთვალა ბრმა მზე უკანასკნელი სხივების მარაოს
პროექტორივით დაანათებს ქვეყანას, ქვეყანაც გაიყინება და სივრცის
უფსკრულში გადაიჩეხება, რომ სიკვდილით კვლავ სიცოცხლე მოიპოოს,
რომელიმე ახალ მზეს გულში ჩაეკრას, ან მთვარესავით სამუდამოთ გაშეშდეს...

დია ჩიანელი.

პროლეტარულ პოეზიაზე

(გაკვრით).

პროლეტარული პოეზიის შესახებ მსჯელობა მოდაში შემოვიდა. ვინ არის ისეთი, რომ მის შესახებ არ ლაპარაკობდეს! მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვებს თითქმის ყოველ-დღე ყველა ბრუნვაში ნახავთ ასჯერ მაინც ნახმარს, რაიმე საფუძვლიან აზრს მაინც ვერ გაიგონებთ მის შესახებ. ზოგი რას ლაპარაკობს ამ დიადი იდეის შესახებ და ზოგი რას. ზოგიერთების აზრით პროლეტარული პოეზია ცრუ-კლასიკური რიტორიკით ამოიწურება, ზოგიერთებს კიდევ იგი მხოლოდ ინდივიდუალური ნერვეისა და გორკის ბოსიაკების ანარქიული ამოყვრება ჰგონიათ. ზოგიც ფილისტერის ღიმილით იგონებს და მისი მომავალი არა სწამს. ასეთთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ მოქალაქე გამსახურდია, რომელიც „პოეზიის დღის“ აღსანიშნავ ფურცელში (სრ. საქ. მწერალთა კავშირისგამოც.) სწერს: „პროლეტარულ პოეზიას როგორც ევროპაში, ისე რუსეთში, ისეთივე სკანდალი მოუვიდა, როგორც ნაპალეონ ბონაპარტეს მეუღლეს ჟოზეფინას, რომლის გათხოვებასა და დედოფლად კურთხევაზე იმდენი მითქმა-მოთქმა იყო, იმდენი ამბიცია დაიხარჯა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან „ტახტის მემკვიდრე“ ველარ შობა“.

ამ სტრიქონების დამწერს ფართოდ განსწავლულ ინტელიგენტად მოაქვს თავი და, როგორც ასეთს, ნება არ უნდა მიეცა თავისი თავისათვის ასე მსუბუქად შეხებოდა ისეთ დიდ საკითხს, როგორც არის პროლეტარული შემოქმედება. ნუთუ სხემდასხვა ეპოქის ლიტერატურის ისტორიის—თუ შესწავლამ არა—წაკითხვამ მაინც არ ჩააფიქრა გამსახურდია? სულ ცოტა მიუდგომლობა რომ გამოეჩინა მას, დარწმუნებული ვარ, ამ სიტყვებს არ დასწერდა იგი და, მისდა უნებლიეთ, ფილისტერის მანტიას არ წამოისხამდა.

ისტორიის ფურცლების გადაშლა, უპირველეს ყოვლისა, გამსახურდიას დაარწმუნებდა იმაში, რომ პროლეტარიატის ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლა არ არის რაღაც შემთხვევითი მოვლენა და წარმავალი რამე. პირიქით, პროლეტარიატი არის ის კლასი, რომელიც ნელინელ ეუფლება მთელ ცხოვრებას და ყველგან და ყველაფერში თავისი აზრი და გრძნობა შეაქვს. ეს არის ახალი ეპოქის დასაწყისი კაცობრიობის ისტორიაში. იყო მონობა და იგი გადავიდა ფეოდალიზმში, იყო ფეოდალიზმი და იგი გადაიქცა კაპიტალიზმად, დღეს კი კაპიტალიზმი გადადის შრომის სუფევაში, პროლეტა-

რული სულსკვეთების სამეფოში. ამ საერთო დებულებათა უარისყოფა არავის შეუძლია, ვერ უარყოფს გამსახურდიაც.

მეორე გარემოება, რაშიც უნდა დარწმუნებულიყო ჩვენი განათლებული ავტორი, იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ ეპოქას კაცობრიობის ისტორიულ საფეხურებზე თან მოაქვს საკუთარი იდეოლოგია, საკუთარი აზრი, საკუთარი გრძნობა. მაშასადამე, ასეთსავე თანმოტანას ადგილი ექნება პროლეტარიატის ხელითაც,

ვიცი, გამსახურდია მეტყვის, რომ ხელოვნება ყველა ეპოქაში მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნებაა, იგი განსახიერებაა სილამაზის, მშვენიერებისაო და სხვა. იგი მომხიბლავი ეთეროვანი ასულია, რომელიც, დროისა და გარემოების მიუხედავად, კდემამოსილი მოაბიჯებს ისტორიის ნაპრილებს, იტაცებს ტანჯული ადამიანის სულს, ამაღლებს მას, უამებს წყლულებს, მიაფრენს ოცნების მხარეს და სხვა. დიახ, მე მრწამს, რომ ეს მართლაც ასეა: ხელოვნების ღმერთის ანგელოსებრივი სახე მუდამ ზეალმტაცის მშვენიერებით ელანდებოდა და ელანდება ადამიანს. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ მშვენიერების მომხიბლავ ლეჩაქში ყველა ეპოქა და, ასე გასინჯეთ, თითოეული საზოგადოებრივი კლასიც თავის საყვარელსა და სატრფიალო იდეას ხვევს. ფეოდალიზმი იდეალურ რაინდებსა და ვიკინგებს ასხამდა ფრთებს, ბურჟუაზია თავისებურის იდეალებით ამკობდა მშვენიერების პანთეონს, და ყოველ ექვს გარეშეა, რომ პროლეტარიატიც თავის სათაყვანო აზრებითა და გრძნობით მოგვევლინება.

მესამე მხარე, რისთვისაც ყურადღება უნდა მიექცია ჩვენს თამამ ავტორს, ეს გახლავთ ერთგვარი ევოლიუციის მიუცილებლობა. ხელოვნების განვითარება არ ხდება სამხედრო მარშების ტემპით, არც მილიტარისტული დეკრეტების საშვალებით. ამას უნდა დრო, დრო ხანგრძლივი და ჩაფიქრებული. ხელოვნების სფერო ადამიანის სულის კუნჭულებია, აქ მეფობს გული და მხოლოდ და მხოლოდ წრფელი გრძნობა, რომელიც ყოველთვის არ მიჰყვება იდეას, ის ერთობ კონსერვატორია და გონებასავით ხშირათ როდი იცვლის სამოსელს. გონება და აზრი ხშირათ უმტკივნეულოთ იცვლის თავის არსებას, ერთის მაგიერ მეორეთ იქცევა. მაგრამ სულ სხვაა გრძნობა, გრძნობა სათუთი, ნარნარი, კდემამოსილი. იგი გვიან ეუფლება ადამიანის სულსა და გულს, და ამიტომ არის, რომ ხელოვნების—ამ გრძნობის სამეფოს—განვითარებას მთელი ათეული წლები ჭირდება.

პროლეტარული იდეა, მისი პოლიტიკური თეორიები შედარებით იოლი გასაგები და შესათვისებელია, მაგრამ მისია ამ იდეების—განცდა, გრძნობა, შეთვისება და შესისხლხორცება ძნელზე ძნელი და რთულია. ეს ხდება ნელა, აუჩქარებლივ, თაობათა ცვლებით. ბურჟუაზიის პოეზია—ქალაქური პოეზიაა, ასეთივე უნდა იქნეს პროლეტარების პოეზია, მაგრამ შე-



მდევის განსხვავებით. ბურჟუაზიის ქნარი ზედა სართულებში ჟღერს, პროლეტარიატის კი—სარდაფებში. იქ, ზევით, გონება ლაღობს, აზრის არისტოკრატები სხედან და მალეც მიაწიეს სულის საწადელს, აქ კი მონობაა ფიზიკური, მონობა გონებრივი, და რა გასაკვირია, რომ ამ მონათა შემოქმედებანელინელ იდგამდეს ფეხს და დიდის ბორძიკით ვითარდებოდეს! მართალია, აქ დაიბადა ვერჰარნი, უიტმანი, ჯერ თითო-ოროლა პიროვნებანი, მაგრამ გამსახურდიას უნდა ცოდნოდა, რომ ეს ერთეულები დროთა მსვლელობაში მხოლოდობით რიცხვში არ დარჩებიან. ამის თავდებია ისტორია.

დაწინაურებულ ევროპაში თუ ასეა საქმე, რა უნდა იყოს ჩვენში, სადაც ქალაქური პოეზია ახლა-ხან იქმნება! ჩვენი პოეტების სულსა და გულს ჯერ კიდევ სოფლის სურათები ამძიმებს, ქალაქის მტვერიანი ქუჩების პოეზიას ისინი არ შეთვისებენ ბავშობიდან... ამიტომ პროლეტარული პოეზია ჩვენში, რასაკვირველია, უნდა მოიკოჭლებდეს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი „ტახტის მემკვიდრეს“ ვერ შობს. არა, ეს რომ ასე მოხდეს, მაშინ არც პროლეტარიატს ექნებოდა მომავალი.

ან ეგების პროლეტარული პოეზიის განმავითარებლებათ გამსახურდიას ტიცან ტაბიძეები მიაჩნია! აკი ერთხელ ამ ვაჟმა „პროლეტ-კულტურაც, კი დაუწყო არშიყობა „კომუნისტის“ ფურცლებზე. თუ ეს ასეა, მაშინ ნურას უკაცრავათ, თუ მას პირდაპირ ვეტყვი: არა, ბატონო, თქვენ პროლეტარული პოეზიის პროფაატორები გინდათ მის იდეოლოგებათ გაასაღოთ, ეს კი არ არის მოსაწონი. განა რობაქიძე—ტაბიძეს და მისიანებს შეუძლიათ იყონ პროლეტარიატის გულისთქმათა გამომსახველნი?! ეს ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან მთელი მათი წარსული ლიტერატურული მუშაობა მუშათა კლასის გარეშე იყო და პროლეტარიატის იდეა მათ სასაცილოთაც არ ყოფნიდათ. და განა დღეს გარდიქმხებოდენ ესენი? ნუ გაავიწყდებათ, რომ „თავსა ახლად ვერვინ იშობს“.

პროლეტარული პოეზიის დარგში ჩვენში საკმაო მუშაობა იყო, ქურნალი „ქურა“ ვერ დაიჩემებს პირველობას. ევლოშვილის, რუხაძის, ქუჩიშვილის, იასმანის, აბაშელის, ობოლი-მუშის და სხვათა შემოქმედებას ამ სფეროში ვერავინ უარყოფს, და კარგი იქნებოდა, რომ გამსახურდიას, საერთო ისტორიული პერსპექტივების გათვალისწინების გვერდით, ამ მწერალთათვის მიექცია ყურადღება. ხოლო ასე ხელალებით მსჯელობა ასეთ დიდ საკითხზე, როგორც არის პროლეტარული ხელოვნება, კიმ მწერალთა მიხედვით, რომელნიც ბონების შრიალს გაუტაცნია და ამიტომ ეტმასნებიან მას, ყოვლად მიუღებელია.

ვარლამ ხურციჭე.

სევდა თუ გადარჩევა.

სევდა თუ გადარჩევა პოეტისათვის? მოუხრიდებლად დასვა საკითხი ახალმა პოეზიამ. მისტიური დაფერფვლა სულის თუ შეუკავებელ გაქანებაში თავდავიწყება? საკითხი ღრმა და პოეტისაგან პასუხს მოითხოვს.

პოეზია ცადა შეუცნობის შეცნაურებაზე. მსოფლიოს ყვითელ ქაოსში ბოროტი სფინქსი შეუცნობის მუდამ იწვევს პოეტის ენერგიას ძიებისაკენ. პოეტი პირისპირ დგას მსოფლიოს საიდუმლოებასთან და დაჟინებით მოითხოვს გადარჩეული კარის გაღებას, რომლის იქითაც იმალებიან მისტიკა სიმშვენიერის, ცოდნის და სიყვარულის. მის წინ ირევინ საცოდავნი ანათემები და ზოგჯერ მუცელზე სოხვით, სანტიმენტალური კენჭების სროლით თუ გაშმაგებული ლანძღვით ევედრებიან დარაჯს—ამაყ ცერბერს საიდუმლოს ახსნას, რომელიც პასუხის ნაცვლად მღუმარებას აბნევს.

დაკარგა პოეტმა ხსნის იმედი. მან იცის, რომ უმიზნოდ, უშედეგოდ დაიკვლება სადმე ბნელ კუთხეში. და პოეტის დამწვარი სული ტრიალობს ბოროტებაში. ბოროტება კოსმიური, რომელიც მუნჯი დაცინვით აქრობს ეფემერულ აღტაცებას, და ბოროტება სოციალური: მყრალი წუმბე მეშხანშიმის, სისხლით შესვრილი კვამლი და ჭვარტლი, ცათამდი აწვდილ ქარვასლების მისტიური გადმოხედვა გაქანებულ ტრამვაებზე, რომლის შფოთში მისივე შემქმნელნი საცოდავნი განმარტოებით იღუპებიან. და რეზერვუარად პოეზიის გახდა ბოროტება. თვით უკიდურესი მშვენიერი ტყუილის მიმდევარმა ოსკარ ჟაილდმა ბოროტებით მოშხამა ბოლოს თვისი პოეზია.

კიდევ ერთი სუბიექტიური ტრაგედია პოეტის. ინტელექტი და ინტუიცია. ინტუიცია—ირაციონალური ქმედითი ძალაა. ეს პოეტის საკუთრებაა. ინტელექტი—ცივი, მოპირდაპირე პირველის. არსებობს ქმედობის დროს ინტელექტის წინააღმდეგობა, რომელიც აციებს ირაციონალიზმს. და პოეტის ინტუიცია ხდება სევდით მოცული. ეს თვისებაა ყველა დიდი პოეტის. შეიძლება ამან ათქმევინა სანდრო ცირეკიძეს: „უნდა მოველოდეთ ამაყ პოეტებს, რომლებიც არ გამოსთქვამენ თავის განცთებს“. ჯერჯერობით შეიძლება ეს პარადოქსი იყოს, მაგრამ მხოლოდ აქ არის ინტუიციის—პოეზიის გამარჯვება. მანამ ვერ გაიცინებს პოეტი.

ამ მოშხამულ ატმოსფერაში უხდება პოეტს ქმედითი ძალის გაშლა. და ისმება საკითხი პოეტის წინ: სევდა თუ გადარჩევა? სუბიექტიური თქმით

ეს პროექტის ტემპერამენტის საქმეა. ობიექტიური თქმით საფუძველი აქვს პირველსაც და მეორესაც, რადგანაც წარმომშობი მიზეზი ერთი და იგივეა.

პირველი მისტიკაში ანგრევს სულის ყოველ კუნჭულს და უკიდურეს ემოციაში ეძებს საიდუმლოს. ის არ ივიწყებს, რომ ყოველივე ამაოა და ყოველთვის ჯვარზეა გაკრული.

მეორე თქმა: პროეტისთვის გადარევაში გაქანებაა. ეს უკიდურესი გაჯავრებაა დამარცხებულის, რომ მუდამ ნგრევსა და მოძრაობაში ფიქრის დროც არ მიეცეს. ბევრჯერ ეს არ არის ინტიმური ცდა, არამედ სოციალური სურვილია დათაღხულობაზე გამარჯვებისა. ის ივიწყებს ინტუიციას პროეტში და სწამს ინტელექტის ყოვლადშემძლებლობა. ეს პროეტის ბუნების გადაღმა და მშვენიერი ტყუილის აღიარება პროეზიაში—დამარცხებულის გაგიჟებაა ყვითელ ქაოსის წინაშე.

მისტიციზმი დაუსრულებელი ძიებაა ადამიანის სულის სარკეში ასახული შეუცნობის. მისი საზღვარი დაუსრულებელია და პროეზიისთვის პროგრესიულია.

ტენნიკური კულტურის გაღრმავება მეტ ენერგიას აძლევს მისტიურ ძიებებს. საქართველოსთვის საოცნებო ევროპაში, სადაც ინტელექტის უკიდურესი გადარევაა, უზარმაზარი ქარხნების ღმუილის გვერდით ისმის მისტიური ძიება: მეტერლინკის, ნოვალისის, გამსუნის და სხვ.

პოეზია ერთადერთი იარაღია კაცობრიობის სულიერი პროგრესისათვის. ის ერის სულის და მისი მოძრაობის ნიშანია.

ქართველი პოეტი ყოველთვის იწოდა ემოციაში და მით არის ქართული პოეზია დროს გარეშე. ტარიელის დათაღხული უძირო სევდა, გურამიშვილის მოთქმა და მისი საშინელი ირონია სიკვდილის, ბარათაშვილის უიმედო გაქანება შეუცნობთა სამეფოში—უკავად ქმნიან ქართულ ქმედით ენტელეხიას.

თუ პოეზია შეუცნობის ძიებაა და შინაგანი მუსიკის გამომჟღავნებაა, პოეზიაში მუდამ იქნება სევდა, სევდა სიგიჟემდი აყვანილი, რადგან ამ უკიდურესობაში იზღება ყოველი ნაწილი ადამიანის სულის და ხდის პოეზიას სევდის ყვითელ კონცერტად, სადაც განწირულნი მომავლის პოეზიისთვის სახრჩობელაზე აღიან.

ვადიმ ნორაკიძე.

მხატვრული კრონიკა.

მწერალთა სახლი... ქუთაისში—მწერალთა სახლში სწარმოებს ჩუმი შემოქმედებითი მუშაობა ქუთათური პოეტების. კავშირის გამგეობამ მოაწყო და გაამშვენიერა დარბაზი, და ზემით გახსნა 6 მაისს.

ავათმყოფი მწერლები. ამ ჟამათ ავათ არიან: ჩვენი რედაქციის კოლეგიის წევრი სანდრო ცირეკიძე, ს. ხუნდაძე და კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ვასო გორგაძე. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ მალე სრულებით განიკურნებიან ღ თავის საყვარელ საქმეს დაუბრუნდებიან.

ფუტურისტული ჟურნალი და საღამო. ქუთათური ფუტურისტები ამ მოკლე ხანში ფიქრობენ ჟურნალის გამოშვებას, რისთვისაც აპირებენ გრანდიოზული საღამოს მოწყობას საზაფხულო კლუბში.

ღია ჩიანელის საღამო. ღია ჩიანელმა სახელმწიფო თეატრში გამართა გრანდიოზული საღამო, სადაც თვითონ გამოვიდა მოხსენებით. საღამოში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ფუტურისტებიც, რომელთაც ქანდარიდან წარმოსთქვეს სიტყვები და ლექსები. საღამო ორგინალური იყო—და საზოგადოებაც მრავალი დაესწრო.

ტერენტი გრანელის საღამო. მწერალთა სახლში თფილისიდან ჩამოსულმა პოეტმა ტერენტი გრანელმა გამართა თავისი პოეზიის საღამო. სიტყვები წარმოსთქვეს ღია ჩიანელმა, ნ. შენგელაიამ და ს. ხუნდაძემ. დარბაზი ხალხით სავსე იყო, და აუდიტორია პოეტს სიმპატიით შეხვდა.

დახმარება ს. ცირეკიძეს. ქუთაისის აღმასკომი 3 მილიონი მანეთით დაეხმარა ს. ცირეკიძეს, ავათმყოფობის გამო.

ალბატროსი. ამ მოკლე ხანში თბილისში გამოვა სამხატვრო ჟურნალი „ალბატროსი“. მონაწილეობენ: ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიცციან ტაბიძე, ღია ჩიანელი, რაჭდენ გვეტაძე, გრიგოლ ცეცხლაძე, ტერენტი გრანელი, ლევან ასათიანი, გობრონ ავარელი, გრიგოლ ზოდელი, ვადიმ ნორაკიძე, ლ. სორტელი.

ნიკოლოზ შენგელაიას წიგნი. იბეჭდება და მალე გამოვა პოეტის ნიკოლოზ შენგელაიას პირველი ფუტურისტული წიგნი.

შ ი ნ ა ა რ ს ი,

1. აღსარება ქუთაისს—ტერენტი გრანელი.
2. ყანაში—თ. ხუსკივაძე.
3. აღამიანო—დ. თომაშვილი.
4. ქუთაისის მიდამო—სილოვანი.
5. ივლიანე—ლ. სორტელი.
6. ქალაქი-ფენომენი—ვ. გორგაძე.
7. ჰარმონიები და დისჰარმონიები—ჯ. ჯორჯიკია.
8. შემოდგომის სურათები—ს. კვანტალიანი.
9. ხელოვანთა ყავახანა—ნ. ლ.
10. განშორების არია—დაჟლ ცაგარელი.
11. ჩვენს სიმბოლისტებს—ვ. წერეთელი.
12. ქართველი ფუტურისტების მანიფესტის გამო—ს. ს.
13. ქუთაისი გიჟებით—დია ჩიანელი.
14. პროლეტარულ პოეზიაზე—ვ. ხუროძე.
15. სევდა თუ გადარევა—ვადიმ ნორაკიძე.
16. მხატვრული ქრონიკა.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.